

საარჩევნო პერიოდის ანალიტიკური მიმოხილვა



საარჩევნო პერიოდის ანალიტიკური მიმოხილვა

თბილისი
2025

გამოცემის ხელმძღვანელები: ნონა ქურდოვანიძე
თამარ ხუხია

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2025, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

შესავალი 4

პოლიტიკური კონტექსტი 6

მასობრივი საპროტესტო აქციები, რეპრესიები
და საერთაშორისო გამოხმაურება 6

სამოქალაქო საზოგადოების შემზღუდველი კანონმდებლობა ... 10

დროებითი საგამოძიებო კომისია და
პარტიების აკრძალვის საკითხი 13

პოლიტიკური პარტიების ლიდერების დაკავება 16

პარტიების სტრატეგიები არჩევნებში
მონაწილეობასთან დაკავშირებით 20

არჩევნების საერთაშორისო მონიტორინგი 22

სამართლებრივი ჩარჩო და საკანონმდებლო ცვლილებები 23

საარჩევნო სისტემა 23

დამკვირვებლის საქმიანობის შეზღუდვა კენჭისყრის დღეს 27

საარჩევნო კომისიის საქმიანობაში ჩარევისთვის
დაწესებული ფინანსური სანქციის ზრდა 31

დამკვირვებლებისთვის აგიტაციაში მონაწილეობის აკრძალვა 32

ჭრილის საფარის დამატება ხმის მთვლელ
ელექტრონულ აპარატებზე 33

ცენტრალური საარჩევნო კომისია 36

კენჭისყრის დღე 38

არჩევნების შედეგები 38

არჩევნებზე დაკვირვება 40

საერთაშორისო გამოხმაურება 44

შეჯამება 45

შესავალი

5 აგვისტოს „ქართული ოცნების“ მიერ არჩეულმა პრეზიდენტმა მიხეილ ყაველაშვილმა გამოსცა განკარგულება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების 4 ოქტომბერს ჩატარების შესახებ.[1] ამ არჩევნებზე, საქართველოს მოქალაქეები 64 საკრებულოს 2,058 წევრსა და 64 მერს აირჩევენ.[2] ქვეყნის მასშტაბით 3051 უბანი გაიხსნება.[3] არჩევნებში მონაწილეობის მიზნით რეგისტრაცია 14-მა პარტიამ[4] გაიარა,[5] ოფიციალური წინასაარჩევნო პერიოდი კი - 5 აგვისტოს დაიწყო.

2025 წლის 4 ოქტომბერს დაგეგმილი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები საქართველოს თანამედროვე ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე რთულ და მძიმე პოლიტიკურ გარემოში ჩატარდა. ქვეყანაში დემოკრატიის უკუსვლამ,[6] სამოქალაქო საზოგადოებისა და ოპოზიციის მიმართ გატარებულმა რეპრესიულმა პოლიტიკამ, სამართლებრივი ჩარჩოს ვიწროპარტიული ინტერესებისთვის ინსტ-

---

[1] „საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნების დანიშვნის შესახებ“, ცესკოს ოფიციალური ვებგვერდი, 2025 წლის 5 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/siakhleebi/pres-relizebi/singleview/11036588-sakartvelos-prezidentis-gankarguleba-munitsipalitetis-organoebis-archevnebis-danishvnis-shesakheb, განახლებულია: 11.08.2025.

[2] მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, ისევე, როგორც მერები 4 წლის ვადით, პირდაპირი წესით აირჩევიან.

[3] 2284 უბანზე - ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით, ხოლო 767 უბანზე ძველი წესით ჩატარდება (ტრადიციულ უბნებზეც გამოყენებული იქნება პლანშეტური კომპიუტერები).

[4] №1 - „მამული, ენა, სარწმუნოება“; №3 - „კონსერვატორები საქართველოსთვის“; №4 - „ქართველთა ერთობა“; №5 - „ჩვენი გაერთიანებული საქართველო“; №7 - „თავისუფალი საქართველო“; №8 - „პატრიოტთა ალიანსი“; №9 - „ძლიერი საქართველო - ლელო“; №10 - „მემარცხენე ალიანსი“; №11 - „საქართველო“; №12 - „მწვანეთა პარტია“; №14 - „სახალხო ხელისუფლება“; №25 - „გახარია საქართველოსთვის“; №36 - „გირჩი“; №41 - „ქართული ოცნება“. აღსანიშნავია, რომ ორმა საარჩევნო სუბიექტმა - „მემარცხენე ალიანსმა“ და „ქართველთა ერთობამ“ - არცერთ საარჩევნო ოლქში არ წარადგინა კანდიდატები, შესაბამისად, ეს სუბიექტები არ იქნებიან საარჩევნო ბიულეტენზე.

[5] „მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის პარტიების რეგისტრაცია დასრულდა“, ცესკოს ოფიციალური ვებგვერდი, 2025 წლის 14 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/siakhleebi/pres-relizebi/singleview/11036757-munitsipalitetis-organota-archevnebistvis-partiebis-registratsia-dasrulda, განახლებულია: 03.09.2025.

[6] Freedom House-ის შეფასებით, 2025 წელს საქართველომ 2012 წლის შემდეგ პირველად დაკარგა „საარჩევნო დემოკრატიის“ სტატუსი. შედეგად, ქვეყანა იმ პოლიტიკურ სისტემებს შორის აღმოჩნდა, სადაც არჩევნები ვეღარ აკმაყოფილებს დემოკრატიული სტანდარტების მინიმალურ მოთხოვნებს. იხილეთ ორგანიზაციის ვებგვერდი: https://freedomhouse.org/country/georgia/freedom-world/2025.

რუმენტალიზაციამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონია საარჩევნო პროცესზე.

ერთი მხრივ, კვლავ ფიქსირდებოდა სისტემური პრობლემები, რომლებზეც საია 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინა და შემდგომ პერიოდებში მიუთითებდა. ხოლო, მეორე მხრივ, ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნების შემდეგ განვითარდა და დღემდე გრძელდება ღრმა პოლიტიკური კრიზისი. წინა საპარლამენტო არჩევნებში მეორე და მესამე ადგილზე გასულმა ოპოზიციურმა პლატფორმებმა თვითმმართველობის არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს.[7]

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საიას) არსებობის 30-წლიანი ისტორიის განმავლობაში, პირველად, სადამკვირვებლო ორგანიზაციებზე განხორციელებული სისტემური ზეწოლისა და შემზღუდველი კანონმდებლობის კონტექსტში, საია არჩევნებს ტრადიციული სადამკვირვებლო მისიით ვერ დააკვირდა.[8] წარმოდგენილ დოკუმენტში მიმოხილულია საარჩევნო კანონმდებლობაში შესული ცვლილებები და მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები. საია საქმიანობისას მკაცრად იცავს ნეიტრალურ პოზიციას და კანონის უზენაესობის, ობიექტურობის, პროფესიონალიზმის, გამჭვირვალობის პრინციპებით მოქმედებს.

[7] „8 ოპოზიციური პარტია ბოიკოტზე შეთანხმდა“, ტელეკომპანია „tvpirveli-ის“ ოფიციალური ვებგვერდი, 2025 წლის 1-ლი ივლისი, ხელმისაწვდომია: https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/politika/104674-8-opozitsiuri-partia-boikotze-shetankhmda-ras-ambobengakhariasa-da-khazaradzis, განახლებულია: 13.08.2025.

[8] „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 31 წლიანი არსებობის განმავლობაში პირველად, 2025 წლის 4 ოქტომბერს დანიშნულ არჩევნებს ტრადიციული სადამკვირვებლო მისიით ვერ დააკვირდება“, საიას ოფიციალური facebook-ის გვერდი, 2025 წლის 24 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/GYLA.ge/posts/pfbid0EA3Fd35xC6tCGsW3PzBEtwmnDNnWzGdj4AL9ErHXF4dbNGT2MAmq84NSC1FAwz6Kl, განახლებულია: 06.10.2025.

პოლიტიკური კონტექსტი

მასობრივი საპროტესტო აქციები, რეპრესიები და საერთაშორისო გამოხმაურება

2024 წლის 28 ნოემბერს ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ საქართველო ევროკავშირში გაწევრიანების პროცესს დღის წესრიგში 2028 წლამდე არ დააყენებს.[9] ამ განცხადებამ კიდევ უფრო გაამწვავა საზოგადოებრივი უკმაყოფილება, რომელიც ისედაც არსებობდა და უკავშირდებოდა არჩევნებზე გამოვლენილ სისტემურ დარღვევებს. განცხადება მასშტაბური ქუჩის აქციების მიზეზად იქცა. საპასუხოდ, ხელისუფლებამ დაიწყო განსხვავებული აზრის წინააღმდეგ სასტიკი რეპრესიები, რომლებიც დღემდე გრძელდება. რეჟიმმა ფიზიკურად იძალადა და სისტემურად აწამა ასობით დემონსტრანტი ძალის და/ან უცნობი ქიმიური გამღიზიანებლების გამოყენებით, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის გაუარესების გრძელვადიანი ეფექტები.[10]

დემონსტრაციების კონტექსტში სისხლის სამართლის წესით დააკავეს ათობით პირი, ხოლო ასობით ადამიანის მიმართ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება. ამ პროცესების პარალელურად, „ქართულმა ოცნებამ“ შეცვალა „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, რის შედეგადაც, აიკრძალა სასამართლოს შენობასა და ეზოში ფოტო-ვიდეო გადაღება და ტრანსლაცია.[11] მედიაორგანიზაციები და ჟურნალისტური საზოგადოება სხდომების ვიდეოგადაღებას მხოლოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ნებართვის შემთხვევაში შეძლებენ.[12]

გამკაცრდა ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იმ ღონისძიებებისთვის, რომლებიც ნებისმიერი სახით

---

[9] „ქართულ ოცნებას“ 2028 წლის ბოლომდე ევროკავშირთან მოლაპარაკების გახსნა არ სურს”, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2024 წლის 28 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33219304.html, განახლებულია: 12.08.2025.

[10] „ადამიანის უფლებების კრიზისი საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ“, თბილისი, 2025, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/hPJNL.

[11] „საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, 921-IIIრს-XIმპ, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6557897?publication=0, განახლებულია: 04.09.2025.

[12] დეტალურად იხ. „2025 წლის ცვლილებები საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2025.

უკავშირდება სამოქალაქო აქტივობებს.[13] „ქართული ოცნების“ მიერ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების ერთ-ერთი აშკარა სამიზნე გამოხატვის თავისუფლება და მედიის საქმიანობა გახდა.[14]

დაიწყო განსხვავებული პოზიციის მქონე საჯარო მოხელეებისგან საჯარო სექტორის წმენდა.[15] ერთ-ერთი სახელმწიფო დაწესებულება, საიდანაც, რეორგანიზაციის შედეგად, დასაქმებული პირები გათავისუფლდნენ, მათ შორის, ცენტრალური საარჩევნო კომისიაა. 2024 წლის 16 დეკემბერს ცესკოში, მისი თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, რეორგანიზაცია დაიწყო.[16] მართალია, ამის ოფიციალურ მიზეზად სისტემური და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფა დასახელდა, თუმცა გათავისუფლებული თანამშრომლები მიუთითებდნენ პოლიტიკურ მოტივებსა და მათი გათავისუფლების კავშირზე ევროინტეგრაციის მხარდამჭერ პოზიციასთან.[17]

საქართველოს სახელმწიფოებრიობასა და დემოკრატიაზე დამაზიანებელი გავლენის გამო, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია ბიძინა ივანიშვილისთვის ფინანსური სანქციების დაწესების მოწოდებით,[18] ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა 2024 წლის 27 დეკემბერს დაასანქცირა ბიძინა ივანიშვილი საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ეროზიის, ადამიანის უფლებების დარღვევისა და დემოკრატიული პროცესისთვის ძირის გამოთხრის

---

[13] „რაცვლილებებიშევაშეკრებისთავისუფლებისშეზღუდვისმიზნითადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში?“, საიას ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 16 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/ra-tsvlilebebi-shedis-administraciul-samartaldargvevata-kodeqsshi, განახლებულია: 12.08.2025.

[14] „კანონები სიტყვის წინააღმდეგ” - საიამ გამოხატვის თავისუფლების შემზღუდველი კანონმდებლობის შესახებ ახალი კვლევა გამოაქვეყნა“, საიას ოფიციალური ვებგვერდი, 2025 წლის პირველი სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/Kanoni-sitkvis-tsinaagmdeg-sais-kvleva-gamokhatvistavisupleba, განახლებულია: 11.09.2025.

[15] აბულაძე გ. „საჯარო სამსახურის „რეფორმის“ დამანგრეველი ეფექტი“, 2025, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ხელმისაწვდომია: http://bit.ly/4mLByR1, განახლებულია: 04.09.2025.

[16] ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2024 წლის 16 დეკემბრის ბრძანება №01-148.

[17] „ადამიანის უფლებების კრიზისი საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ“, თბილისი, 2025, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/hPJNL.

[18] European Parliament resolution of 28 November 2024, პარ. 11; იხ. https://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-10-2024-0054_EN.html.

გამო.[19] მთლიანობაში, დასავლეთის ქვეყნებმა[20] დაასანქცირეს „ქართული ოცნების“ 230-ზე მეტი წარმომადგენელი, რომელთა შორის 138-ის ვინაობა საჯაროდ არის ცნობილი, ხოლო დანარჩენებს დაწესებული აქვთ ანონიმური ვიზისა და ქვეყანაში შესვლის შეზღუდვები.[21] სხვადასხვა სახის სანქციები დაუწესდათ საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს, მინისტრებს, პარლამენტის წევრებს, ასევე კერძო პირებს.[22]

მმართველი პარტია მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დადგა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ნაწილშიც. „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილებით, 2024 წლის 29 იანვარს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში („PACE“) ქართულმა დელეგაციამ მუშაობა შეწყვიტა.[23]

---

[19] „აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტმა ბიძინა ივანიშვილს სანქციები დაუწესა | ყველა დეტალი ერთად“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2024 წლის 27 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%98%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A5%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%93%E1%83%90/33254863.html, განახლებულია: 12.08.2025.

[20] აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ჩეხეთის რესპუბლიკა, პოლონეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი და უკრაინა.

[21] „Transparency International Georgia: 9 Western countries have already sanctioned more than 230 representatives of the Georgian Dream, 138 of whom have been made public, while the rest have been subject to anonymous travel or visa restrictions“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2025 წლის 30 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/en/article/141473-transparency-international-georgia-9-western-countries-have-already-sanctioned-more-than-230-representatives-of-the-georgian-dream-138-of-whom-have-been-made-public-while-the-rest-have-been-subject-to-anonymous-travel-or-visa-restrictions, განახლებულია: 12.08.2025.

[22] იქვე.

[23] „ქართული ოცნების“ ეს გადაწყვეტილება მოჰყვა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციას, რომლის თანახმად, ასამბლეა ქართული დელეგაციის მანდატებს 2025 წლის აპრილის სესიაზე ხელახლა განიხილავს, იმ პროგრესის გათვალისწინებით, რომელიც შემდეგ საკითხებზე იქნება მიღწეული: • „ახალი, ჭეშმარიტად დემოკრატიული საპარლამენტო არჩევნების“ ორგანიზება, საერთაშორისო ზედამხედველობის, სახელმწიფო ინსტიტუტებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის პოლიტიკური დამოუკიდებლობის მკაცრი დაცვით; • საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის აღსადგენად დაუყოვნებლივი და ეფექტიანი ნაბიჯების გადადგმა; • პოლიციის ძალადობისა და ადამიანის უფლებათა დარღვევების დაუყოვნებლივ შეწყვეტა; • ყველა პოლიტიკური პატიმრის გათავისუფლება 2025 წლის აპრილის სესიამდე. ხელმისაწვდომია: PACE President regrets decision of Georgian delegation to withdraw from the Assembly, 29.01.2024; იხ. https://www.coe.int/en/web/tbilisi/-/pace-president-regrets-decision-of-georgian-delegation-to-withdraw-from-the-assembly.

ევთოს საპარლამენტო ასამბლეამ 3 ივლისს მიღებულ რეზოლუციაში ღრმა შეშფოთება გამოხატა საქართველოში 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით.[24] ევთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის სადამკვირვებლო მისიამ საარჩევნო პროცესში მრავალი დარღვევა აღმოაჩინა.[25] ასამბლეამ საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა, პატივი სცეს შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებას, თავი შეიკავოს ძალის გამოყენებისგან მშვიდობიანი მომიტინგეების, პოლიტიკოსებისა და მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ, უზრუნველყოს სიტუაციის დეესკალაცია და ყველა დაინტერესებულ მხარესთან დაიწყოს ეროვნული დიალოგი არსებული სიტუაციიდან გამოსავლის მოსაძებნად, ასევე, გადადგას ნაბიჯები ქართული დემოკრატიის მიმართ საზოგადოების ნდობის აღსადგენად.[26]

15 ივლისს გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ევროკომისიამ საქართველოსთან უვიზო მიმოსვლის შეჩერების საკითხის განხილვა დაიწყო ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებასთან დაკავშირებული „სერიოზული უკუსვლის" გამო.[27] ევროკომისიის მიგრაციის და საშინაო საქმეთა გენერალურმა დირექტორატმა წერილით მიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს.[28] წერილის მიხედვით, დირექტორატი მოითხოვდა განახლებული ინფორმაციის მიწოდებას კომისიის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე, ან, თუ ჯერ არ განხორციელებულა ისინი, სათანადო ზომების მიღებას კომისიის რეკომენდაციების შესასრულებლად. ევროკომისიამ ქვეყანას 8-პუნქტიანი რეკომენდაციის შესასრულებლად ვადა 31 აგვისტომდე მისცა, თუმცა ხელისუფლებას კომისიის რეკომენდაციების შესასრულებლად რეალური ნაბიჯები არ გადაუდგამს.

---

[24] „PORTO DECLARATION AND RESOLUTIONS ADOPTED BY THE OSCE PARLIAMENTARY ASSEMBLY AT THE THIRTY-SECOND ANNUAL SESSION", ხელმისაწვდომია: https://www.oscepa.org/en/documents/annual-sessions/2025-porto/declaration-31/5313-porto-declaration-eng/file.

[25] იქვე.

[26] იქვე.

[27] „ევროკავშირი საქართველოს უვიზო მიმოსვლის შესახებ წერილს გაუგზავნის - კალასი შესაძლო შეჩერების შესახებ აფრთხილებს", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2025 წლის 15 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33474647.html, განახლებულია: 12.08.2025.

[28] „ევროკავშირი საქართველოსგან მოითხოვს სადავო კანონების გაუქმებას და მოქალაქეთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფას – წერილი", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2025 წლის 16 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33475780.html, განახლებულია: 12.08.2025.

სამოქალაქო საზოგადოების შემზღუდველი კანონმდებლობა

საქართველოს ხელისუფლებამ სისტემური ნაბიჯები გადადგა დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შესაზღუდად. 2024 წელს მიღებულმა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ რუსული სტილის კანონმა სავალდებულო გახადა ორგანიზაციების მასტიგმატიზებელ რეესტრში რეგისტრაცია.[29] საიამ რუსული სტილის კანონი 16 მედიასაშუალებასთან, სამოქალაქო საზოგადოების 120 ორგანიზაციასა და 4 ფიზიკურ პირთან ერთად ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრა.[30] 2025 წლის 16 ივნისს კი ვენეციის კომისიამ „რუსულ კანონზე“ წარდგენილ საჩივარში ევროსასამართლოს მესამე მხარედ ჩართვა სთხოვა.[31]

მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა 2025 წელს მიღებულმა კანონმა - ამერიკული უცხოელი აგენტების რეგისტრაციის აქტის (FARA) ტექსტობრივმა ანალოგმა,[32] რომელიც სისხლის სამართლის სანქციებს ითვალისწინებს და, ინსტიტუციების მიტაცების პირობებში, სახიფათო ინსტრუმენტია დამოუკიდებელი ორგანიზაციების წინააღმდეგ.

15 მაისს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, FARA-ს შეჩერების მოთხოვნით, საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა.[33] საიასთან ერთად, მოსარჩელეები არიან ასევე მედიაორგანიზაციები - „სტუდია მონიტორი“ და „საქართველოს ამბები“.[34] კანონიდან მომდინარე საფრთხეებზე გაამახვილა ყურადღება ეუთოს დემოკრა-

---

[29] საქართველოს კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6171895?publication=0.

[30] „სტრასბურგის სასამართლომ ე.წ. „გამჭვირვალობის“ კანონის შესახებ სარჩელი დაარეგისტრირა“, საინფორმაციო პორტალი „euronewsgeorgia“, 2024 წლის 13 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://euronewsgeorgia.com/2024/11/13/strasburgis-sasamartlob-e-ts-gamchvirvalobis-kanonis-shesaxeb-sarcheli-daaregistrira/, განახლებულია: 13.08.2025.

[31] „ვენეციის კომისია რუსულ კანონზე საიას და არასამთავრობოების მიერ წარდგენილ საჩივარში მესამე მხარედ ჩართვას ითხოვს“, საინფორმაციო პორტალი „on.ge“, 2025 წლის 8 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://go.on.ge/3wxe, განახლებულია: 13.08.2025.

[32] საქართველოს კანონი „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6461578?publication=0.

[33] „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“ საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრდა“, 2025 წლის 22 მაისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/FARA-sakonstitucio-sasamartloshi-gasachivrda, განახლებულია: 12.08.2025.

[34] იქვე.

ტიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის („ეუთო/ოდირი“) დირექტორმა.[35] მისი შეფასებით, მიღებული კანონი საფრთხეს უქმნის სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობას და ადამიანის უფლებების დაცვას.[36] ასევე, კანონი უარყოფით გავლენას იქონიებს გაერთიანების, მშვიდობიანი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებაზე, რომლებიც დემოკრატიისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია.[37]

გარდა ამისა, „ქართულმა ოცნებამ“ 16 აპრილს დაჩქარებული წესით მიიღო მორიგი რეპრესიული ცვლილებების პაკეტი, რითაც საბოლოოდ აიკრძალა მთავრობის თანხმობის გარეშე უცხოური გრანტების მიღება.[38]

17 და 19 ივნისს სამოქალაქო საზოგადოების 8 ორგანიზაციას[39] გადაეცა სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ 2024 წლის 1-ლი იანვრიდან დღემდე პერიოდისთვის შეუზღუდავი მოცულობის სამართლებრივი, პერსონალური, ფინანსური და ტექნიკური ინფორმაციის წარდგენას ავალდებულებდა.[40] ეს მოიცავდა ასევე ორგანიზა-

---

[35] „Georgia’s foreign agents legislation raises concerns over negative impact on civil society, OSCE human rights office says“, 2025 წლის 2 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/odihr/588667?fbclid=IwY2xjawJaY6ZleHRuA2FlbQIxMQABHWeEdwz5xmgGbO6x1XwvCY-4a-73cQokPkWFnJJ-aMSAbqyF0sG5DRy4Tw_aem_ZLI_LCGyALfvcNYgE7P5oA, განახლებულია: 12.08.2025.

[36] იქვე.

[37] იქვე.

[38] „ქართულმა ოცნებამ“ აკრძალა გრანტების გაცემა/მიღება მთავრობის ნებართვის გარეშე“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2025 წლის 16 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33387188.html, განახლებულია: 12.08.2025.

[39] მათ შორის, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას“, „საფარს“, „სამოქალაქო საზოგადოების ფონდს”, „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრს”, „საქართველოს მომავლის აკადემიას”, „მედიის განვითარების ფონდსა” და „სოციალური სამართლიანობის ცენტრს”.

[40] „ივანიშვილი რუსული კანონების ამოქმედებას პუტინისა და ლუკაშენკას სცენარით იწყებს“, სამოქალაქო საზოგადოების ფონდის ოფიციალური facebook-გვერდი, 2025 წლის 18 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/photo/?fbid=1173492551474150&set=a.486159170207495, განახლებულია: 13.08.2025; „ქართულმა ოცნებამ” სამოქალაქო საზოგადოებისთვის დამანგრეველი კანონების გამოყენება უკვე დაიწყო“, სოციალური სამართლიანობის ცენტრის ოფიციალური ვებგვერდი, 2025 წლის 19 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://socialjustice.org.ge/ka/products/kartulma-otsnebam-samokalako-sazogadoebistvis-damangreveli-kanonebis-gamoqeneba-ukve-daitsqo, განახლებულია: 13.08.2025.

ციების ბენეფიციარებსა და მესამე პირებთან დაკავშირებულ ყველა ტიპის (მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის) მონაცემებს.[41]

2025 წლის 27 აგვისტოს ცნობილი გახდა, რომ 7 ქართული სამოქალაქო ორგანიზაციის[42] საბანკო ანგარიშები დაყადაღდა. თბილისის საქალაქო სასამართლომ პროკურატურის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა დააკმაყოფილა და ორგანიზაციების ფინანსურ აქტივებზე შეზღუდვა დააწესა.[43] გამოძიების ინფორმაციით, ორგანიზაციებს 2024 წლის ბოლოს საპროტესტო აქციების „დაფინანსებას“ ედავებიან, „საბოტაჟის საქმის“ ფარგლებში. იმავე საქმეს უკავშირდება მარტში მიღებული გადაწყვეტილება, რომლის შედეგადაც, დაყადაღდა რამდენიმე საქველმოქმედო ორგანიზაციის, მათ შორის, „ნანუკას ფონდის“, საბანკო ანგარიშები.[44]

2025 წლის 8 სექტემბრის შემდეგ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა,[45] მათ შორის საიამ, მიიღეს ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელის, რაჟდენ კუპრაშვილის წერილები „გრანტების შესახებ“ კანონის გამოყენებით მონიტორინგის დაწყების შესახებ.[46] კუპრაშვილმა ორგანიზაციებისგან 2025 წლის 16 აპრილის შემდეგ პერიოდში ორგანიზაციების საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა კატეგორიის მოცულობითი ინფორმაცია მოითხოვა.[47] ნიშანდობლივია, რომ ბიუროს მიერ გამოგზავნილ წერილში ფორმალურადაც კი არ ყოფილა მითითებული, კონკრეტულად რომელი მუხლების საფუძველზე მოითხოვს ინფორმაციის მიწოდებას, მათ შორის, 16 აპრილიდან, მაშინ, როდესაც „გრანტების შესახებ“ კანონის რეპრესიული ცვლილებები 17 აპრილს შევიდა ძალაში.[48]

---

[41] იქვე.

[42] „სამოქალაქო საზოგადოების ფონდი“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED), „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI), „დემოკრატიის მცველები“, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ (GDI), „საფარი“, „სოციალური სამართლიანობის ცენტრი“.

[43] „შვიდი სამოქალაქო ორგანიზაციის საბანკო ანგარიშებს ყადაღა დაადეს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2025 წლის 27 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33514228.html, განახლებულია: 11.09.2025.

[44] იქვე.

[45] სულ 30-მდე ქართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია.

[46] ,,ქართულმა ოცნებამ“ სამოქალაქო საზოგადოების რეპრესიების ახალი ეტაპი 30-მდე ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის წინააღმდეგ დაიწყო“, საიას ოფიციალური ვებგვერდი, 2025 წლის 22 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/Statemnet-22-09, განახლებულია: 24.09.2025.

[47] იქვე.

[48] იქვე.

საიამ „გრანტების შესახებ“ კანონის მე-6[1] მუხლი, რომლის საფუძველზეც ანტიკორუფციულმა ბიურომ არასამთავრობო ორგანიზაციების, მათ შორის, საიას წინააღმდეგ მიმდინარე წლის სექტემბერში მონიტორინგის პროცესი დაიწყო, საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა.[49]

დროებითი საგამოძიებო კომისია და პარტიების აკრძალვის საკითხი

2025 წლის 5 თებერვალს „ქართული ოცნების“ პარლამენტში შეიქმნა 2003-2012 წლებში პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანებული მოქმედი და ყოფილი თანამდებობის პირების 2003 წლიდან დღემდე საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისია.[50] 1-ელ აპრილს კი პარლამენტმა კომისიის საგამოძიებო ფარგლები გააფართოვა 2025 წლამდე.[51] განმარტებითი ბარათის მიხედვით, თავდაპირველად, კომისიის საქმიანობის მიზანი იყო 2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმისა და რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ ჩადენილი დანაშაულების შეფასება და მათი გადაწყვეტილებების სამართლებრივ ჭრილში მოქცევა.[52] საერთო ჯამში, კომისიის მიზანი იყო კონკრეტული პოლიტიკური პარტიების მარგინალიზაცია და მათი აკრძალვისთვის შესაბამისი სამართლებრივ-პოლიტიკური საფუძვლის მომზადება, რაზეც

[49] „საია საკონსტიტუციო სასამართლოს მოუწოდებს, დროულად განიხილოს ,,გრანტების შესახებ“ კანონთან დაკავშირებით წარდგენილი საკონსტიტუციო სარჩელები და შეაჩეროს სადავო ნორმების მოქმედება“, საიას ოფიციალური ვებგვერდი, 2025 წლის 1-ლი ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/GYLA-grantebisshesaxebkanonisakonstituciosarcheli?fbclid=IwY2xjawNQbtBleHRuA2FlbQIxMABicmlkETEwOW55NFRUcjltc0c1NVB2AR4J0zX9dMyAroZECm7EV8XcPT7WpbgREyLYZR5LSp6oREnFpdYOZqSPwiIK5Q_aem_Fbk3RzcNBrx_ML4Fo2a_2g, განახლებულია: 06.10.2025.

[50] საქართველოს პარლამენტის 2025 წლის 5 თებერვლის დადგენილება N240-IIმს-XIმპ.

[51] „პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შესახებ დადგენილებაში ცვლილება განხორციელდა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2025 წლის 1-ლი აპრილი, ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/media/news/parlamentis-droebiti-sagamodziebo-komisiis-shesakhebdadgenilebashitsvlilebagankhortsielda?fbclid=IwY2xjawJ_6JZleHRuA2FlbQIxMABicmlkETFicjlIZFhUT05yUkU1VkZ2AR7JvVh5z2AXaU_61zwGSGFLpWnxWwbR0ippb4KAQfgQ--HgCjDfe2hjxc3t3g_aem_6-3FfzsSoTTHIVng2V4PLg, განახლებულია: 12.08.2025.

[52] განმარტებითი ბარათი „2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმისა და რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტის თაობაზე.

„ქართული ოცნების“ ლიდერები ღიად საუბრობდნენ.[53] საბოლოოდ, 3 სექტემბერს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მმართველმა პარტიამ მხარი დაუჭირა საგამოძიებო კომისიის დასკვნას და, ამ დასკვნის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვაც დააანონსა.[54]

ამ პროცესის პარალელურად, 2025 წლის 13 მაისს, „ქართულმა ოცნებამ“ მესამე მოსმენით მხარი დაუჭირა კანონპროექტს, რომელიც, მათივე თქმით, უზრუნველყოფს „კოლექტიური ნაცმოძრაობის“ აკრძალვას.[55] ცვლილებების მიხედვით, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონს დაემატება ნორმა, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებას აძლევს, აკრძალოს ის პარტია, რომლის მიზნები, საქმიანობის არსი, მათ შორის, პერსონალური შემადგენლობა ან პარტიული სია არსებითად იმეორებს უკვე აკრძალული პარტიისას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონით განისაზღვრა, რომ სტანდარტული 9-თვიანი ვადისგან განსხვავებით, „მემკვიდრე“ პარტიის აკრძალვის საკითხი სასამართლომ 14 დღეში უნდა განიხილოს.[56]

საია ამ ცვლილებებს, ოპოზიციური პარტიების აკრძალვის შესახებ „ქართული ოცნების“ ლიდერების განცხადებების ფონზე, პოლიტიკური ოპონენტების განადგურებისა და ქვეყანაში ერთპარტიული, ავტორიტარული მმართველობის დამყარების მცდელობად აფასებს.[57]

---

[53] „ქართული ოცნების“ მიერ ინიციირებული კანონპროექტი „ნაციონალური მოძრაობის“ „მემკვიდრე პარტიების არაკონსტიტუციურად გამოცხადებას“ ითვალისწინებს“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2025 წლის 28 მარტი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/672285, განახლებულია: 12.08.2025.

[54] „საკანონმდებლო ორგანომ პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის საქმიანობის შედეგების შესახებ დადგენილება მიიღო“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2025 წლის 6 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.parliament.ge/media/news/sakanonmdeblo-organom-parlamentis-droebiti-sagamodziebo-komisiis-sakmianobis-shedegebis-shesakheb-dadgenileba-miigho, განახლებულია: 09.09.2025.

[55] „ქართულმა ოცნებამ” პარტიების აკრძალვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი მიიღო“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2025 წლის 13 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33412623.html, განახლებულია: 09.01.2025.

[56] „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილი; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის 22-ე მუხლის მე-4^2 ნაწილი.

[57] „ქართული ოცნების“ მიერ პოლიტიკური პარტიების გაუქმების შესახებ ინიციირებული ცვლილებები პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგაა მიმართული“, საიას

არჩევნების შემდგომ პერიოდში „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა მხრიდან კვლავ გააქტიურდა ოპოზიციური პარტიების მნიშვნელოვანი ნაწილის საკონსტიტუციო სარჩელის მეშვეობით აკრძალვის საკითხი. 16 ოქტომბერს „ქართულმა ოცნებამ“ დაჩქარებული წესით განიხილა და მესამე მოსმენით მიიღო საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აკრძალულ პოლიტიკურ პარტიასთან დაკავშირებული პირებისთვის პარტიული საქმიანობის (მათ შორის, პარტიის დაარსება, პარტიის ხელმძღვანელი თანამდებობის დაკავება), სახელმწიფო-პოლიტიკური და პოლიტიკური თანამდებობის დაკავების უფლების, ასევე, არჩევნებში მონაწილეობის აკრძალვას ითვალისწინებს.[58]

ხსენებულმა ცვლილებებმა კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ გააფართოვა საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატი.[59] საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლი ამომწურავად განსაზღვრავს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას და გამორიცხავს მიმდინარე კანონმდებლობით მის გაფართოებას. ამ ჩამონათვალში არ არის მითითებული უფლებამოსილება, რომელიც სასამართლოს საშუალებას მისცემდა, ფიზიკური პირებისთვის პოლიტიკური უფლებების შეზღუდვა დაეკისრებინა.[60]

საიას შეფასებით, პარტიასთან დაკავშირებული პირების პოლიტიკაში მონაწილეობის აკრძალვა არის სრულიად ბუნდოვანი და გაუმართლებელი პასუხისმგებლობის კოლექტივიზაცია,[61] რაც ეწინააღმდეგება ევროპული კონვენციის მე-11 მუხლს (გაერთიანების თავისუფლება).

ოფიციალური ვებგვერდი, 2025 წლის 7 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/saias-ganckhadeba-politicuri-partiebis-gauqmebis-iniciativaze, განახლებულია: 13.08.2025.

[58] კანონპროექტი ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/v1/law-drafting/bills/31315/details/106849, განახლებულია: 25.10.2025.

[59] „ქართული ოცნების“ ინიციატივა - ინდივიდების პოლიტიკური საქმიანობის აკრძალვის შესახებ საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამოა“, საიას ოფიციალური ვებგვერდი, 2025 წლის 15 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/GYLA-politikuri-saqmianobis-akrdzalvis-shesaxeb, განახლებულია: 28.10.2025.

[60] იქვე.

[61] საქმეში Ždanoka v. Latvia (2006, Grand Chamber) ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ პოლიტიკური საქმიანობის აკრძალვა შეიძლება გამართლდეს მხოლოდ კონკრეტული, იდენტიფიცირებადი ქმედებით და არა – „კოლექტიური ბრალეულობის” ლოგიკით.

პოლიტიკური პარტიების ლიდერების დაკავება

2025 წლის გაზაფხულზე საქართველოში 6 ოპოზიციური პოლიტიკური ლიდერი, ასევე თავდაცვის ყოფილი მინისტრი დააკავეს და პატიმრობა შეუფარდეს.[62] პარტია „გახარია საქართველოსთვის“ ლიდერმა გიორგი გახარიამ ქვეყანა დატოვა.[63]

22 მაისს, მოსამართლის გადაწყვეტილებით, პარტია „გირჩი - მეტი თავისუფლებისა“ და კოალიცია „ცვლილებისთვის“ ერთ-ერთ ლიდერს ზურაბ ჯაფარიძეს აღკვეთის ღონისძიების სახით დაკისრებული 20 000-ლარიანი გირაო ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით, პატიმრობით შეეცვალა.[64]

მოგვიანებით, 29 მაისს, სამართალდამცავებმა პარტია „ახლის“ ერთ-ერთი ლიდერი ნიკა მელია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე დააკავეს, რაც სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის სიტყვიერ შეურაცხყოფას გულისხმობს.[65] ნიშანდობლივია, რომ მელიას, საგამოძიებო კომი-

---

[62] „6 კვირა, 7 დაჭერილი ოპოზიციონერი, თვითმმართველობის არჩევნები და ბიზნესის დუმილი“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2025 წლის 25 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/%e1%83%93%e1%83%90%e1%83%ad%e1%83%94%e1%83%a0%e1%83%98%e1%83%9a%e1%83%98%e1%83%9d%e1%83%9e%e1%83%9d%e1%83%96%e1%83%98%e1%83%aa%e1%83%98%e1%83%9d%e1%83%9c%e1%83%94%e1%83%a0%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%a9%e1%83%94%e1%83%95%e1%83%9c%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98%e1%83%93%e1%83%90%e1%83%91%e1%83%98%e1%83%96%e1%83%9c%e1%83%94%e1%83%a1%e1%83%98/33453843.html, განახლებულია: 14.08.2025.

[63] გიორგი გახარიამ ქვეყანა ივნისში დატოვა, მას შემდეგ, რაც საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ მის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო. უწყების ცნობით, გამოძიება ეხება საბოტაჟს, დამამძიმებელ გარემოებაში საბოტაჟის მცდელობას, უცხოური ორგანიზაციებისა და მათი კონტროლის ქვეშ მყოფი სტრუქტურებისთვის მტრულ საქმიანობაში დახმარებას და საქართველოს კონსტიტუციური წყობისა და ეროვნული უსაფრთხოების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული საქმიანობისთვის ფინანსების მობილიზებას. ამ გამოძიების ფარგლებში, სხვა საკითხებთან ერთად, განიხილება 2019 წლის 24 აგვისტოს გიორგი გახარიას მიერ, შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე მისი ყოფნის დროს, სოფელ ჩორჩანასთან, საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ განხორციელებული ღონისძიება.

[64] „ზურაბ ჯაფარიძე დააკავეს „ქართული ოცნების“ შექმნილ დროებით საგამოძიებო კომისიაში გამოუცხადებლობის გამო“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2025 წლის 22 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33421333.html, განახლებულია: 12.08.2025.

[65] „ნიკა მელია სასამართლოს წინა საღამოს დააკავეს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2025 წლის 29 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%90%E1%83%99%E1%

სიაზე გამოუცხადებლობის გამო დაწყებული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში, აღკვეთის ღონისძიების სახით 50000-ლარიანი გირაო ჰქონდა შეფარდებული, გადახდის ვადა კი ამავე დღის 00:00-ზე იწურებოდა.[66]

13 ივნისს დააკავეს პარტია „ახლის“ კიდევ ერთი ლიდერი ნიკა გვარამია.[67] იგი თავად გამოცხადდა რუსთავის პენიტენციურ დაწესებულებაში. გვარამიას პატიმრობა მას შემდეგ შეეფარდა, რაც მან უარი თქვა პარლამენტის საგამოძიებო კომისიის სხდომაზე გამოცხადებაზე და არ გადაიხადა გამოუცხადებლობის გამო დაწყებული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში დაკისრებული გირაო.[68]

ასევე, პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო (სისხლის სამართლის კოდექსის 349-ე მუხლი), 23 ივნისს დააკავეს პარტია „ლელოს“ ლიდერები - ბადრი ჯაფარიძე და მამუკა ხაზარაძე.[69]

14 მაისს დააკავეს თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, რომელსაც, სხვა შემთხვევების მსგავსად, პატიმრობა მას შემდეგ შეეფარდა, რაც უარი თქვა პარლამენტის საგამოძიებო კომისიის სხდომაზე გამოცხადებაზე და არ გადაიხადა გამოუცხადებლობის გამო დაწყებული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში დაკისრებული გირაო.[70]

პარლამენტის საგამოძიებო კომისიის მოთხოვნის შეუსრულებლობისთვის სანქცია გათვალისწინებულია როგორც ადმინისტრაციული, ისე სისხლის სამართლის კოდექსით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173³-ე მუხლი ითვალისწინებს ჯარიმას შრომის ანაზღაურების ორმოცდაათი მინიმალური ოდენობით, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის 349-ე მუხლი – ჯარიმას ან

83%90%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A1/33428890.html, განახლებულია: 12.08.2025.

[66] იქვე.

[67] „ნიკა გვარამია დააკავეს“, 2025 წლის 13 ივნისი, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33442046.html, განახლებულია: 12.08.2025.

[68] იქვე.

[69] „მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე დააკავეს“, საინფორმაციო პორტალი „bm.ge“, 2025 წლის 23 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://bm.ge/news/mamuka-khazaradze-da-badri-jafaridze-daakaves, განახლებულია: 12.08.2025.

[70] „ირაკლი ოქრუაშვილი დააკავეს „ქართული ოცნების“ შექმნილ დროებით საგამოძიებო კომისიაში გამოუცხადებლობის გამო“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2025 წლის 14 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33413487.html, განახლებულია: 01.09.2025.

ერთ წლამდე პატიმრობას, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით სამი წლამდე. ეს ნიშნავს, რომ ერთი და იგივე ქმედება შეიძლება ჩაითვალოს როგორც სამართალდარღვევად, ისე დანაშაულად.[71] იმის გათვალისწინებით, რომ კანონმდებელი არ განსაზღვრავს, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებში იდენტური ჩანაწერების არსებობისას რომელს ენიჭება უპირატესობა, საკითხი უნდა შეფასდეს საქართველოს კონსტიტუციის და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და, დარღვევის შემთხვევაში, გამოყენებული იყოს ის ნორმა, რომელიც ნაკლებად ზღუდავს პიროვნების თავისუფლებას (In dubio pro libertate).[72]

1-ელ ივლისს ევროსაბჭოს ადგილობრივი ხელისუფლებების კონგრესის პრეზიდენტმა სინანული გამოთქვა საქართველოში პოლიტიკური კლიმატის გაუარესების გამო.[73] მისი განცხადებით, ოპოზიციის ლიდერების დაკავებებმა არსებითად შეაფერხა ქვეყნის პოლიტიკურ ძალებს შორის დიალოგის შესაძლებლობა. მან ასევე აღნიშნა, რომ 2025 წლის 26 მარტს მიღებულ რეზოლუციასა და რეკომენდაციაში კონგრესმა საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა, განეახლებინათ ინკლუზიური პოლიტიკური დიალოგი მმართველობის ყველა დონეზე და ყველა დაინტერესებულ მხარესთან.[74] მან წუხილი გამოთქვა, რომ საქართველოში ვერ შეიქმნა ისეთი საარჩევნო გარემო, რომელიც აზრს მისცემდა არჩევნებში მონაწილეობას და ნდობას გააჩენდა საარჩევნო პროცესისადმი.[75]

2025 წლის 4 ივლისს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ ყაველაშვილმა თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა. მან მსჯავრდადებულ ოპოზიციონერ ლიდერებს

---

[71] „საია ეხმიანება „ქართული ოცნების“ საგამოძიებო კომისიის ლეგიტიმურობის საკითხსა და კომისიაზე დაბარებასთან დაკავშირებით მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებს“, 2025 წლის 21 მაისი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/sagamodziebokomisiaGYLA?fbclid=IwY2xjawLcTJZleHRuA2FlbQIxMABicmlkETFwMG4zRnhMdks4Y0hrYzBCAR6VhaZYtLdoniookD8eldUCMh9zHwnrrU_M_CFfvUAEN7lQEbFzBfyJXqQovw_aem_QahvtvKNomz4Mrjv1kwuXA, განახლებულია: 12.08.2025.

[72] იქვე.

[73] „Council of Europe Congress President deplores deteriorating political climate in Georgia“, 2025 წლის 1-ელი ივლისი, ხელმისაწვდომია: https://www.coe.int/en/web/congress/-/council-of-europe-congress-president-deplores-deteriorating-politicalclimateingeorgia?fbclid=IwY2xjawLZwK5leHRuA2FlbQIxMABicmlkETFZblBoZUkyT1QzNlpDWGFmAR7geajhLAPt7uBeZMRMbmSA8ntvBj_lMaaTPuL6wXUufpXY4Sk8OEYnThvJ5Q_aem_0FgXjdkYMdYJVQrRQo0wDQ, განახლებულია: 12.08.2025.

[74] იქვე.

[75] იქვე.

შესთავაზა, მისთვის შეწყალების თხოვნით მიემართათ, წინაპირობად კი წაუყენა, რომ განცხადებაში მათ არჩევნებში მონაწილეობის სურვილი დაედასტურებინათ.[76]

5 სექტემბერს, არჩევნების წინ, მიხეილ ყაველაშვილმა პარტია „ლელო - ძლიერი საქართველოს“ ლიდერები - მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე შეიწყალა.[77] აღსანიშნავია, რომ მათ ყაველაშვილისთვის შეწყალების თხოვნით არ მიუმართავთ, არჩევნებში მონაწილეობის სურვილი კი ჯერ კიდევ 5 ივლისის განცხადებაში დაადასტურეს.[78]

15 სექტემბერს თბილისის მერობის კანდიდატ კახა კალაძის საარჩევნო ბანერის დაზიანების ბრალდებით „კოალიცია ცვლილებებისთვის“ ერთ-ერთი ლიდერი, ელენე ხოშტარია დააკავეს.[79] საქმეზე ოფიციალურად გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის შესაბამისად, რაც სხვისი ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს.[80] აღსანიშნავია, რომ ელენე ხოშტარიამ აღნიშნული ქმედებით სოლიდარობა გამოუცხადა 23 წლის სტუდენტს, მეგი დიასამიძეს, რომელიც კალაძის ბანერზე დატოვებული იმავე შინაარსის წარწერის გამო, 10 სექტემბერს სისხლის სამართლის წესით დააკავეს.[81]

11 სექტემბერს დააკავეს დააკავეს პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი ლევან ხაბეიშვილი. მას ბრალად ედება ქრთამის სახით მოხელეებისთვის ფულადი ჯილდოს საჯაროდ დაპირება. ხაბეიშვილმა შსს-ის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებს 200 000 დოლარი შესთავაზა, თუ ისინი აქციების დარბე-

---

[76] მიხეილ ყაველაშვილის facebook-გვერდი, 2025 წლის 4 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/MikheilKavelashviliOfficial/posts/pfbid0SvzFsrdq4gdTwS1XX-9U57CMvsam2zxdhnvwqNkrrSEPHunQNgY5PBBQjgjHBtakwl, განახლებულია: 12.08.2025.

[77] „ყაველაშვილმა ადგილობრივი არჩევნების წინ მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე შეიწყალა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2025 წლის 5 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/699393, განახლებულია: 10.09.2025.

[78] „კოალიცია ძლიერი საქართველო თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს“, ტელეკომპანია „ფორმულას“ ოფიციალური ვებგვერდი, 2025 წლის 5 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/127211, განახლებულია: 12.08.2025.

[79] „ელენე ხოშტარია დააკავეს“, საინფორმაციო პორტალი „bm.ge“, 2025 წლის 15 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://bm.ge/news/elene-khoshtaria-daakaves, განახლებულია: 24.09.2025.

[80] იქვე.

[81] „ელენე ხოშტარია დააკავეს“, საინფორმაციო პორტალი „publika.ge“, 2025 წლის 15 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://publika.ge/elene-khoshtaria-daakaves/, განახლებულია: 24.09.2025.

ვაში მონაწილეობაზე უარს იტყოდნენ.[82]

აღსანიშნავია, რომ ხაბეიშვილმა წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში არაერთხელ გააკეთა განცხადება ქვეყანაში „მშვიდობიანი“ რევოლუციისა და ხელისუფლების დამხობის საჭიროებასთან დაკავშირებით.[83] მისი მხრიდან რეგულარულად კეთდებოდა მოწოდებები 4 ოქტომბერს, არჩევნებზე მისვლის ნაცვლად, მასშტაბურ საპროტესტო აქციაში მონაწილეობის შესახებ.

პარტიების სტრატეგიები არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით

ოპოზიციური პარტიების ნაწილმა არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა.[84] არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმის გამო ორმა დიდმა პოლიტიკურმა პარტიამ - „ნაციონალური მოძრაობა“ და „კოალიცია ცვლილებებისთვის“ - საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომრები დაკარგა.[85]

ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობას გეგმავენ,[86] ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ისინი არჩევნებს უყურებენ არა მხოლოდ როგორც ადგილობრივ დონეზე ხელისუფლების დაკომპლექტების მიზანს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, როგორც არალეგიტიმური ხელისუფლების მიმართ ბრძოლისა და საპროტესტო მუხტის გაჩენის ახალ მექანიზმს.[87]

---

[82] „ხაბეიშვილი დააკავეს სპეცრაზმელებისთვის თანხის საჯაროდ დაპირების გამო, თუ დარბევაში არ მიიღებდნენ მონაწილეობას“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2025 წლის 11 სექტემბერი, ხელმისაწვდომია https://www.radiotavisupleba.ge/a/33527800.html, განახლებულია: 06.10.2025.

[83] „ლევან ხაბეიშვილის განცხადება - გამოხმაურება“, საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალური ვებგვერდი, 2025 წლის 29 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/video/levan-khabeishvilis-ganckhadeba-gamokhmaureba/, განახლებულია: 06.10.2025.

[84] „8 ოპოზიციური პარტია ბოიკოტზე შეთანხმდა“, ტელეკომპანია „tvpirveli-ის“ ოფიციალური ვებგვერდი, 2025 წლის 1-ლი ივლისი, ხელმისაწვდომია: https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/politika/104674-8-opozitsiuri-partia-boikotze-shetankhmda-ras-ambobengakhariasa-da-khazaradzis, განახლებულია: 13.08.2025.

[85] აღსანიშნავია, რომ რიგითი ნომრის ახალი მფლობელი პარტიისთვის გადაცემა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს პარტია მრავალი წლის განმავლობაში არჩევნებში მონაწილეობდა ამავე რიგითი ნომრით, ქმნის გარკვეულ რისკებს ამომრჩევლის შეცდომაში შეყვანის თვალსაზრისით. ნომერმა შეიძლება „დაუმსახურებელი ხმები“ მოუტანოს ახალ მფლობელ პარტიას, რადგან ნაკლებად ინფორმირებული ამომრჩევლების ნაწილი არჩევანს სწორედ ნომრის მიხედვით აკეთებს.

[86] კოალიცია „ლელო - ძლიერი საქართველო“, „გახარია საქართველოსთვის“.

[87] „დანაშაულია ამ არჩევნების ადგილობრივ არჩევნებად იდენტიფიცირება, ეს

2 ივლისს პარტია „გახარია საქართველოსთვის“ ლიდერმა გიორგი გახარიამ დაადასტურა, რომ მისი პარტია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს.[88] 5 ივლისს გაკეთებული განცხადებით იგივე დაადასტურა კოალიციამ „ძლიერი საქართველო“.[89] 14 ივლისს ამ პარტიებმა არჩევნებზე თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს და საერთო კანდიდატების წარდგენაზე შეთანხმდნენ.[90]

არჩევნების საერთაშორისო მონიტორინგი

დამკვიდრებული პრაქტიკისგან განსხვავებით, მმართველმა პარტიამ 18 ივნისს უარი განაცხადა არჩევნებზე დასაკვირვებლად ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ოდირი) მოწვევაზე.[91] „ქართული ოცნების“ ამ გადაწყვეტილებამ,

---

არის დე ფაქტო არჩევნებში ბრძოლა, დე ფაქტო ხელისუფლებასთან დე ფაქტო არჩევნებში ბრძოლა გამოგვიცხადებია“, საინფორმაციო პორტალი „sputnik-georgia“, 2025 წლის 5 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://sputnik-georgia.com/20250705/lelo-tvitmmartvelobis-arcevnebsi-monawileobas-miirebs-294061894.html?utm_source=chatgpt.com, განახლებულია: 12.08.2025.

„[...] არ ნიშნავს იმას, რომ რაიმე ფორმით ნორმალიზებას ვახდენთ რაიმე პროცესის. ეს პირიქით, პროტესტის გაფართოების და ახალი მუხტის მიცემის დამატებითი საბრძოლო ხაზია“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2025 წლის 14 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%96%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%9B%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1/33473786.html, განახლებულია: 12.08.2025.

[88] „გახარია თეა წულუკიანის კითხვაზე, ადასტურებს თუ არა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში იღებს მონაწილეობას: დიახ, ვადასტურებ“, ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ ოფიციალური ვებგვერდი, 2025 წლის 2 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://rustavi2.ge/ka/news/318851, განახლებულია: 12.08.2025.

[89] „კოალიცია ძლიერი საქართველო თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს“, ტელეკომპანია „ფორმულას“ ოფიციალური ვებგვერდი, 2025 წლის 5 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/127211, განახლებულია: 12.08.2025.

[90] „პარტიამ „გახარია საქართველოსთვის“ და „ლელო - ძლიერმა საქართველომ“ 4 ოქტომბრის არჩევნებზე თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი გააფორმეს“, საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალური ვებგვერდი, 2025 წლის 14 ივლისი, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/partiam-gakharia-saqartvelostvis-da-lelo-dzlierma-saqartvelom-4-oqtombris-archevnebze-tanamshromlobis-shesakheb-memorandumi-gaaformes/, განახლებულია: 13.08.2025.

[91] „ოცნება“ თვითმმართველობის არჩევნებზე ეუთო/ოდირის მოწვევას არ გეგმავს“,

საქართველოში შექმნილი პოლიტიკური კრიზისისა და, განსაკუთრებით, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის დაწესებული შეზღუდვების ფონზე (რაც მათ უკლავს თავისუფალი დაკვირვების შესაძლებლობას), კიდევ უფრო გააღრმავა უნდობლობა მოახლოებული არჩევნების მიმართ. „ქართული ოცნების“ ამ გადაწყვეტილებას გამოეხმაურა ეუთო/ოდირი. 7 ივლისს გავრცელებულ განცხადებაში ეუთო/ოდირმა „სინანული გამოთქვა საქართველოს ხელისუფლების გაცხადებული განზრახვის გამო, არ მოიწვიოს ეუთო/ოდირი მომავალ ადგილობრივ არჩევნებზე დასაკვირვებლად, რაც გადახვევაა საქართველოს მიერ ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში დამკვიდრებული და თანმიმდევრული პრაქტიკიდან“.[92]

თუმცა, მთავრობამ, არჩევნებში მონაწილე კანდიდატების რეგისტრაციის ვადის ამოწურვიდან რამდენიმე დღეში, 6 სექტემბერს, არჩევნებამდე 28 დღით ადრე, მას შემდეგ, რაც ცხადი გახდა, რომ საპარლამენტო არჩევნებში მეორე და მესამე ადგილზე გასული პარტიების წარმომადგენლები თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას პრაქტიკულად ვეღარ მიიღებდნენ, გააკეთა განცხადება ეუთო/ოდირის სადამკვირვებლო მისიის მოწვევასთან დაკავშირებით.[93] ამის საპასუხოდ, მათ 9 სექტემბერს განაცხადეს, რომ არასაკმარისი მოსამზადებელი დროისა და საფუძვლიანი დაკვირვების შესაძლებლობის ნაკლებობის გამო, ეუთოს სადამკვირვებლო მისია თვითმმართველობის არჩევნებს ვერ დააკვირდება.[94]

ტელეკომპანია „tvpirveli-ის“ ოფიციალური ვებგვერდი, 2025 წლის 18 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/politika/103662-otsneba-tvitmmartvelobis-archevnebze-euto-odiris-motsvevas-ar-gegmavs, განახლებულია: 12.08.2025.

[92] „OSCE human rights office voices deep concern over increased pressure on civil society and political dissent in Georgia, reaffirms commitment to support“, 7 July 2025, available at: https://www.osce.org/odihr/594597?fbclid=IwY2xjawLY6JhleHRuA2FlbQIxMQBicmlkETFvMEFwN0NFRnJlVUM2VWFCAR42pewEsvuwoOtN01vovT01ZHNyraPO33ShXOeWeKfUyTiaqRVV9kaD_b20sA_aem_ME-kRMZKS9O1OFsIsJPtuw.

[93] „ირაკლი კობახიძე - იმისთვის, რომ არ დარჩეს არავითარი კითხვა არჩევნებთან დაკავშირებით, მივიღეთ გადაწყვეტილება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დასაკვირვებლად ეუთო/ოდირის მისიის მოწვევის შესახებ“, საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებგვერდი, 2025 წლის 6 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=613&info_id=93261, განახლებულია: 09.09.2025.

[94] „ეუთო/ოდირი მისიას არ გზავნის - „არასაკმარისი დროა სანდო და შინაარსიანი დაკვირვებისთვის“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2025 წლის 9 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33525944.html, განახლებულია: 10.09.2025.

სამართლებრივი ჩარჩო და საკანონმდებლო ცვლილებები

საარჩევნო სისტემა

2025 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს ქვეყანა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებებით შეხვდა. ცვლილებების დიდი ნაწილი დაჩქარებული წესით, რეალური კონსულტაციების გარეშე იყო მიღებული და კანონმდებლობის ვიწროპარტიულ ინტერესებზე მორგებას ისახავდა მიზნად.

არჩევნები კვლავ შერეული სისტემით ჩატარდა, თუმცა შეიცვალა პროპორციული და მაჟორიტარული მანდატების განაწილების თანაფარდობა. 2024 წლის 13 დეკემბერს მიღებული ცვლილებებით, საკრებულოებში კვლავ გაიზარდა მაჟორიტარული კომპონენტის წილი და ის 2017 წლის ნიშნულს დაუბრუნდა.[95]

თვითმმართველ ქალაქებში (თბილისის გარდა) პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით არჩეულ საკრებულოს წევრებს შორის თანაფარდობა განისაზღვრება 3:2,[96] ხოლო თბილისში — 1:1[97] შეფარდებით.[98] დანარჩენ მუნიციპალიტეტებში საკრებულოს პროპორციული სისტემით არჩეული წევრების რაოდენობა 15 იქნება, ხოლო მაჟორიტარული სისტემით არჩეულ წევრთა რაოდენობა განისაზღვრება ამომრჩეველთა კანონით დადგენილი წესის მიხედვით.[99] 2021 წლის

---

[95] საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 13 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.parliament.ge/legislation/voting-results/sessions/27968, განახლებულია: 12.08.2025.

[96] ნაცვლად 2021 წლის არჩევნებზე მოქმედი 4:1-ისა.

[97] ნაცვლად 4:1-ისა.

[98] თბილისის საკრებულო კვლავ 50 წევრისგან შედგება, რომელთაგან 25 წევრი აირჩევა ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ტერიტორიაზე, ხოლო 25 წევრი – პროპორციული წესით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე. 2021 წლის რედაქციით, დედაქალაქის 50-წევრიან საკრებულოში 10 - მაჟორიტარი და 40 პროპორციული წესით არჩეული დეპუტატი იყო.

[99] თვითმმართველი თემის ადმინისტრაციულ ცენტრში, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 4 000-ზე მეტია, მაგრამ 10 000-ს არ აღემატება, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით აირჩევა საკრებულოს ორი წევრი; სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 10 000-ზე მეტია, მაგრამ 20 000-ს არ აღემატება, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით აირჩევა საკრებულოს სამი წევრი; სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 20 000-ზე მეტია, მაგრამ 35 000-ს არ აღემატება, აირჩევა საკრებულოს ოთხი წევრი; სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 35 000-ზე მეტია, აირჩევა საკრებულოს ხუთი წევრი.
საარჩევნო კოდექსის დეკემბრის ცვლილებებმა, რომლითაც ახლებურად დადგინდა

19 აპრილის შეთანხმების[100] შედეგად შემუშავებული საკანონმდებლო ჩარჩო პროპორციებს შემდეგნაირად განსაზღვრავდა: პროპორციული და მაჟორიტარული მანდატების შეფარდება ხუთ თვითმმართველ ქალაქში[101] იყო 4:1 პროპორციულის სასარგებლოდ, ხოლო ყველა დანარჩენ მუნიციპალიტეტში – 2:1.[102]

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 2024 წლის გაზაფხულზე საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებების შედეგად გაუქმდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი კანდიდატების ასარჩევად დადგენილი მინიმალური 40%-იანი ბარიერი და მეორე ტურის გამართვის შესაძლებლობა.[103] ამდენად, მაჟორიტარი წევრები ფარდობითი უმრავლესობის პრინციპით, საარჩევნო ბარიერისა და მეორე ტურის დანიშვნის გარეშე აირჩევიან. საკრებულოს წევრად არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ჩატარებულ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ყველაზე მეტ ნამდვილ ხმას მიიღებს. შედეგად, მცირდება მანდატის მოსაპოვებლად საჭირო ხმების მინიმალური ზღვარი, რაც ზრდის ალბათობას, რომ

თვითმმართველი ერთეულების საკრებულოს მაჟორიტარული და პროპორციული წესით არჩეულ წევრთა გადანაწილების წესი, გამოიწვია საკრებულოებში მაჟორიტარული წესით არჩეული წევრების რაოდენობის ზრდა ისე, რომ იგი უმეტეს მუნიციპალიტეტებში მკვეთრად აღემატება პროპორციული წესით არჩეულ ადგილობრივ დეპუტატთა რაოდენობას. გარდა თვითმმართველი ქალაქებისა, რომელთა საკრებულოს წევრთა რაოდენობები პირდაპირ კანონით არის განსაზღვრული, 59 თვითმმართველი თემის საკრებულოს შემადგენლობაში მაჟორიტარული წესით ასარჩევ წევრთა რაოდენობა 37 მუნიციპალიტეტში, მათ შორის, მკვეთრად აღემატება პროპორციული წესით ასარჩევ დეპუტატთა რაოდენობას - 15 წევრს. ამ მუნიციპალიტეტების საკრებულოებში იქმნება ისეთი სიტუაცია, როდესაც მაჟორიტარული წევრების რაოდენობა რამდენჯერმე აღემატება პროპორციული წევრებისას. მხოლოდ 22 მუნიციპალიტეტში არის მაჟორიტარულ კანდიდატთა რიცხვი პროპორციულ წევრთა რაოდენობაზე ნაკლები, თუმცა ის მაინც ახლოსაა ან უთანაბრდება პროპორციული წესით ასარჩევ პირთა რაოდენობას - 15 წევრს.

[100] „სამომავლო გზა საქართველოსთვის“, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, ოფიციალური ვებგვერდი, 19.04.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3frBggU, განახლებულია: 12.08.2025.

[101] თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი და ფოთი.

[102] საქართველოს საარჩევნო კოდექსის №1 დანართი, თვითმმართველი თემებისა და თვითმმართველი ქალაქების (გარდა ქალაქ თბილისისა) საკრებულოების მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემებით არჩეული შემადგენლობები.

[103] 2021 წლის რედაქციით - საკრებულოს მაჟორიტარი წევრობის კანდიდატმა გამარჯვებისთვის მის მეტოქეზე მეტი ხმა უნდა მოიპოვოს, მაგრამ მის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა არ უნდა იყოს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 40%-ზე ნაკლები. იმ შემთხვევაში, თუ ვერცერთი კანდიდატი ვერ გადალახავს 40%-იან ბარიერს, მეორე ტური ინიშნებოდა.

არჩეული იყოს კანდიდატი, რომელმაც სხვებზე მეტი, მაგრამ ამომრჩეველთა შედარებით მცირე ნაწილის მხარდაჭერა მიიღო.

ცვლილებების შესაბამისად, საკრებულოში პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული წევრებისთვის საარჩევნო ბარიერი გაიზარდა და 4%-ით განისაზღვრა (ნაცვლად: 3%-ისა – რეგიონებში, ხოლო 2.5%-ისა – თბილისში).[104] 2021 წლის 19 აპრილის შეთანხმების[105] შედეგად შემუშავებული საკანონმდებლო ჩარჩოს მიხედვით კი, პროპორციულ ნაწილში ბარიერი, თბილისის გარდა, ყველა მუნიციპალიტეტში 3%-ს შეადგენდა, დედაქალაქში კი – 2.5%-ს.[106] საკრებულოს წევრი მაჟორიტარების რაოდენობა მუნიციპალიტეტებში განისაზღვრებოდა ამომრჩეველთა კანონით გათვალისწინებული რაოდენობის პროპორციულად,[107] ხოლო მათ ასარჩევად დაწესებული იყო 40%-იანი ბარიერი.[108]

ქართული კონტექსტის გათვალისწინებით, საია ამ ცვლილებებს საკანონმდებლო რეგულაციების მნიშვნელოვან გაუარესებად აფასებს. საარჩევნო ბარიერისა და მეორე ტურის ჩატარების გარეშე კიდევ უფრო მკაფიოდ იჩენს თავს მაჟორიტარული სისტემის უარყოფითი მხარე – ხალხის წარმომადგენლად, შესაძლოა, არჩეული იყოს კანდიდატი, რომლის წინააღმდეგაც ბევრად უფრო მეტმა ამომრჩეველმა მისცა ხმა, ვიდრე მის მხარდასაჭერად. შედეგად, იზრდება ამომრჩეველთა დაკარგული ხმების რაოდენობა — უფრო მეტად, ვიდრე ნებისმიერი სხვა საარჩევნო სისტემის (მათ შორის, მაჟორიტარული სისტემის ალტერნატიული ფორმების) შემთხვევაში.[109]

---

[104] იქვე.

[105] „სამომავლო გზა საქართველოსთვის“, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, ოფიციალური ვებგვერდი, 19.04.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3frBggU, განახლებულია: 12.08.2025.

[106] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 148-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და 162-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

[107] თვითმმართველი თემის ადმინისტრაციულ ცენტრში, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 10 000-ზე მეტია, მაგრამ 20 000-ს არ აღემატება, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით საკრებულოს სამი წევრი აირჩევა. სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 20 000-ზე მეტია, მაგრამ 35 000-ს არ აღემატება – ოთხი წევრი, ხოლო თვითმმართველი თემის ადმინისტრაციულ ცენტრში, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 35 000-ზე მეტია, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით აირჩევა საკრებულოს ხუთი წევრი.

[108] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 149-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

[109] „რა ცვლილებები შევიდა საქართველოს სარჩევნო კოდექსში?“, საიას ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 30 დეკემბერი, ხელმისაწვდომია https://gyla.ge/post/ra-cvlilebebi-shedis-saarchevno-kodeqsshi-gyla, განახლებულია: 15.08.2025.

ცვლილება შევიდა საკრებულოს პროპორციული ნაწილის არჩევნებში გაუნაწილებელი მანდატების გადანაწილების წესშიც.[110] მანამდე მოქმედი რედაქციის მიხედვით, გაუნაწილებელი მანდატებიდან თითო, პირველ ყოვლისა, ენიჭებოდა იმ პარტიულ სიებს, რომლებმაც, მართალია, ხმების განაწილების წესით მანდატი ვერ მოიპოვეს, თუმცა გადალახეს 4%-იანი ზღვარი. თუ კვლავ რჩებოდა გაუნაწილებელი მანდატები, ისინი თანმიმდევრობით გადაეცემოდა უკვე მანდატმიღებულ პარტიულ სიებს, რომლებსაც ყველაზე დიდი ნაშთი ჰქონდათ. ამ წესით, მეტ პარტიას ეძლეოდა მანდატის მოპოვების შესაძლებლობა, რაც, ადგილობრივი თვითმმართველობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მაქსიმალურად უზრუნველყოფდა ამომრჩევლის ნების და პროპორციული წარმომადგენლობის ასახვას.

მართალია, გაუნაწილებელი მანდატების მიკუთვნების პირველი ეტაპი იგივე დარჩა, თუმცა შეიცვალა მეორე ეტაპი. ცვლილებების შედეგად, გადაუნაწილებელ მანდატებს მიიღებენ არა ყველაზე მაღალი ნაშთის მქონე პარტიები, არამედ ისინი, ვისაც ყველაზე მაღალი შედეგი ექნებათ. შესაბამისად, იზრდება ხმების დაკარგვის რისკი. ძველი წესის მიზანი იყო საკრებულოში ასახვითი წარმომადგენლობის მაქსიმალური უზრუნველყოფა. გამომდინარე იქიდან, რომ კენჭისყრის შედეგებში პარტიის პროცენტული მაჩვენებელი მოსახლეობის ხმებს ასახავს, ნაშთის გათვალისწინება მანდატების მიღებისას მოპოვებული ხმების, შესაბამისად, პოლიტიკური პრეფერენციების გათვალისწინებას გულისხმობდა. ცვლილებებით კი, ავტომატურად, კიდევ უფრო ძლიერდება ისედაც ყველაზე მეტი ხმის მქონე პარტია, რაც, თავისთავად, საკრებულოს მრავალფეროვნებასა და მოსახლეობის ხმების ასახვაზე უარყოფითად იმოქმედებს.

ამდენად, 2025 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა ხელშესახებად შეცვალა საარჩევნო კონკურენციის პირობები უფრო ძლიერი პარტიის სასარგებლოდ და გააუარესა კონკურენტული საარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად აუცილებელი სამართლებრივი ჩარჩო.

[110] საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 22 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://www.parliament.ge/legislation/30012, განახლებულია: 12.08.2025.

დამკვირვებლის საქმიანობის შეზღუდვა კენჭისყრის დღეს

2025 წლის 3 აპრილს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ცვლილებები შეიტანა „კენჭისყრის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების წესისა და პირობების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2023 წლის 6 თებერვლის №7/2023 დადგენილებაში.

დადგენილების მე-6 მუხლს დაემატა 6^1 პუნქტი, რომლითაც განისაზღვრა, რომ კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ნებისმიერ პირს ეკრძალება (ა) კენჭისყრის ოთახში ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება; (ბ) ამომრჩევლისგან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ჩვენების მოთხოვნა, მათ შორის, გამორთმევა; (გ) ამომრჩევლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის, ვერიფიკაციის აპარატზე გამოტანილი ამომრჩევლის მონაცემების, ამ აპარატიდან ამობეჭდილი ამომრჩევლის ვერიფიკაციის დამადასტურებელი ქვითრისა და ამომრჩევლის მიერ საარჩევნო ბიულეტენზე გაკეთებული არჩევანის ფოტო-ვიდეო გადაღება ან სხვაგვარი დამუშავება.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 41-ე მუხლი განსაზღვრავს, რა უფლებები და შეზღუდვები აქვს დამკვირვებელს, ხოლო ცესკოს მიერ მიღებული ნებისმიერი დადგენილება უნდა შეესაბამებოდეს ამ ნორმას და არ უნდა ზღუდავდეს იმ უფლებებს, რომლებიც კანონითაა გარანტირებული.

იმისთვის, რომ დამკვირვებელმა ეფექტიანად შეასრულოს თავისი ფუნქცია, აუცილებელია, მას შეეძლოს უბნის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილება. დამკვირვებელს უნდა ჰქონდეს საშუალება, უპრობლემოდ დააკვირდეს ყველა მნიშვნელოვან ეტაპს — ამომრჩევლის დაშვებას, ვერიფიკაციას, ბიულეტენის მოთავსებას. სწორედ ამას ითვალისწინებს საქართველოს საარჩევნო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტიც. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ დამკვირვებელს დაუბრკოლებლად გადაადგილების, დაკვირვებისა და დარღვევების დოკუმენტირების ფაქტობრივი შესაძლებლობა არ ექნება, მისი უბანზე ყოფნა მხოლოდ ფასადური და ფორმალური გახდება.

(ა) დადგენილების 1-ლი მუხლის „ა" ქვეპუნქტის მიხედვით, შენობაში ყოფნის უფლების მქონე ნებისმიერ პირს, მათ შორის, დამკვირვებლებს ეკრძალებათ კენჭისყრის ოთახში ამომრჩევლის გადაადგილე-

ბის ფიზიკურად შეფერხება. ამგვარი რეგულაციის ფორმალური მიზანი შეიძლება მართლაც იყოს ამომრჩევლის თავისუფლად გადაადგილების უზრუნველყოფა და საარჩევნო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის ხელშეწყობა, თუმცა, რეალურად, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია ამას გამოიყენებს, რათა დამკვირვებლებს განზრახ, არაკეთილსინდისიერად შეუზღუდოს დაკვირვების უფლება და არ მისცეს საარჩევნო პროცესის სრული, შეუფერხებელი მონიტორინგის საშუალება.

ტერმინი „ფიზიკური შეფერხება“ იმდენად ფართოა, რომ, არაკეთილსინდისიერი განმარტების პირობებში, მისი გამოყენება თითქმის ნებისმიერ სიტუაციაში შეიძლება, მათ შორის, როცა დამკვირვებელი იმყოფება ისეთ ადგილას, რომელიც კომისიის ან სხვა სუბიექტის მხრიდან „შეფერხებად“ მიიჩნევა, მიუხედავად იმისა, რომ ის კენჭისყრის პროცესში არ ერევა და ხელს არ უშლის. ამასთანავე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დამკვირვებელმა, დაკვირვების მიზნებიდან გამომდინარე, შეიძლება დროებით მაინც შეაფერხოს ამომრჩევლის გადაადგილება ისე, რომ ამით არ ზღუდავდეს მის კანონიერ უფლებებს და არ არღვევდეს კენჭისყრის პროცედურას, რაც დამკვირვებლის კეთილსინდისიერი საქმიანობის შემადგენელი ელემენტია. საუბარია ისეთ შემთხვევებზე, როდესაც დამკვირვებელი აღმოაჩენს გარკვეულ გადაცდომას ან საარჩევნო კანონდარღვევას და ამაზე შესაბამის რეაგირებასაც მოახდენს.

მიღებული ჩანაწერი ქმნის რეალურ რისკს, რომ დამკვირვებელთა მხრიდან დარღვევის გამოვლენის ან მასზე რეაგირების მცდელობა კომისიის წევრებმა არალეგიტიმურად მიიჩნიონ.

დაკვირვების მანდატი უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ პროცესებზე ფორმალურ, ზედაპირულ თვალყურის დევნებას, არამედ ეფექტიან, შინაარსობრივ მონიტორინგს, რომელიც ითვალისწინებს სათანადო მონაცემების დროულ და ქმედით გადამოწმებას.

(ბ) ცვლილების შესაბამისად, ნებისმიერ პირს, მათ შორის, დამკვირვებლებს, ეკრძალებათ ამომრჩევლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ჩვენების მოთხოვნა/გამორთმევა.

არაუფლებამოსილი პირის მიერ ხმის მიცემის ან სხვაგვარი საარჩევნო მანიპულაციის გამოვლენის შესაძლებლობას, საეჭვო შემთხვევებში, ამომრჩეველთა ვერიფიკაციის პროცესის გაკონტროლება/დაკვირვება, მათ შორის, მისი მაიდენტიფიცირებელი დოკუმე-

ნტის დათვალიერება განეკუთვნება. შესაბამისად, დამკვირვებლების შესაძლებლობა, ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, ამომრჩეველს მოსთხოვონ მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტის ჩვენება, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს კენჭისყრის პროცესში დარღვევების გამოვლენას და მათ აღრიცხვას.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ დამკვირვებელს არ აქვს იურიდიული ბერკეტი, აიძულოს ამომრჩეველი, გადასცეს მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტი. ამასთანავე, პრაქტიკაში არსებობს ისეთი შემთხვევები (მაგალითად, მრავალჯერადად ან არასათანადო დოკუმენტით ხმის მიცემა და ა.შ.), როდესაც დოკუმენტზე უბრალოდ დახედვა ან მისი ფორმალური დათვალიერება შეიძლება კრიტიკულად მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს დარღვევის დროული იდენტიფიცირებისთვის. მიუხედავად ამისა, ნორმის ბლანკეტურობიდან გამომდინარე, რეგულაცია აბსოლუტურად უკრძალავს დამკვირვებელს დოკუმენტთან ნებისმიერ კონტაქტს.

აღსანიშნავია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საინფორმაციო ბიულეტენის მიხედვით,[111] სადამკვირვებლო ორგანიზაციებს უფლება აქვთ, დაამუშაონ პერსონალური ინფორმაცია საარჩევნო პროცესზე დაკვირვების მიზნით. მათ ასევე უფლება აქვთ, გადაამოწმონ საარჩევნო კომისიების დოკუმენტები, რომლებშიც პერსონალური მონაცემებიც არის თავმოყრილი. საარჩევნო პროცესის ფართო კონცეფცია მოიაზრებს კენჭისყრის პროცესს, რომელიც საარჩევნო კოდექსის 65-ე მუხლის, ასევე, „კენჭისყრის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების წესისა და პირობების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2023 წლის 6 თებერვლის №7/2023 დადგენილებით განსაზღვრული წესების ზედმიწევნით დაცვით ტარდება. მასზე დაკვირვება, შინაარსობრივად, სცდება მხოლოდ არჩევნების დღის ფორმალურ, ზედაპირულ დაკვირვებას და მოიცავს კენჭისყრის დღის ანალიზს, დარღვევათა აღრიცხვას და შესაბამისი მტკიცებულებების შეგროვებას, საარჩევნო დავის წარმოებას და სხვ. ამისთვის კი პერსონალურ მონაცემებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამასთანავე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოთხოვნა არ ითვალისწინებს პერსონალური მონაცემების დამუშავების აკრძალვას, არამედ გულისხმობს ასეთი მო-

[111] ამომრჩევლის უფლებები და საარჩევნო პროცესში პერსონალური მონაცემების დაცვის ცალკეული ასპექტები, საინფორმაციო ბიულეტენი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, 2024.

ნაცემების ლეგიტიმურ დამუშავებას კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

წარმოდგენილი ცვლილება კი ერთიანად, ყოველგვარი დიფერენცირების გარეშე უკრძალავს ნებისმიერ პირს საარჩევნო დოკუმენტაციის გარკვეული სახით დამუშავებას. ნაკლებ სავარაუდოა, რომ ეს ცვლილება შედეგის მომტანი იქნება მონაცემთა უკანონო დამუშავებასთან ბრძოლის თვალსაზრისით, ვინაიდან საარჩევნო კოდექსი ისედაც განსაზღვრავს პერსონალური მონაცემების დამუშავების წესს და აწესებს გარკვეულ აკრძალვებს.[112] ამრიგად, ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების დაცვის ნაცვლად, რეგულაცია არაპროპორციულად ზღუდავს დამკვირვებელთა წვდომას საარჩევნო დოკუმენტაციაზე - რესურსზე, რომელიც აუცილებელია როგორც არჩევნებზე დაკვირვების სრულფასოვანი ანალიზისთვის, ასევე საარჩევნო დავების წარმოების, ანგარიშების მომზადებისა და საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების პროცესში.

(გ) განსაკუთრებით საინტერესოა ამომრჩევლის მიერ საარჩევნო ბიულეტენზე გაკეთებული არჩევანის ფოტო-ვიდეო გადაღების აკრძალვა. აღსანიშნავია, რომ საარჩევნო კოდექსი ისედაც ითვალისწინებს ფოტო-ვიდეო გადაღების აკრძალვას საარჩევნო კაბინაში, არჩევნების ფარულობის დაცვის მიზნით.[113] ცვლილებებით, შევსებული ბიულეტენის ფოტო-ვიდეო გადაღება და დამუშავება აიკრძალა არა მხოლოდ კაბინაში, არამედ საარჩევნო უბნის მთელ ტერიტორიაზე.

ცვლილება დამკვირვებელს უსპობს შესაძლებლობას, მოახდინოს კენჭისყრის პროცესში აღმოჩენილი დარღვევების დოკუმენტირება, რაც, თავისი არსით, ეწინააღმდეგება საარჩევნო კოდექსის დანაწესსაც. საქართველოს საარჩევნო კოდექსის 77-ე მუხლის 28-ე ნაწილის მიხედვით, საჩივრის განხილვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების სათანადო გამოკვლევისა და შესწავლის შემდეგ. ამ ნორმისა და დადგენილებით განსაზღვრული ცვლილების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დგინდება, რომ დამკვირვებელი ვერ შეაგროვებს შესაძლო მტკიცებულებათა დიდ ნაწილს, რაც, ცხადია, მნიშვნელოვნად შეამცირებს ან, უარეს შემთხვევაში, მოუსპობს საჩივრის დაკმაყოფილების შანსს.

[112] საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-8 მუხლის 25-ე პუნქტი.
[113] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 58-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

საბოლოო ჯამში, კანონში შესული ცვლილებები, კონტექსტის გათვალისწინებით, არსებითად ართულებს სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მუშაობას და ხელის შემშლელ ფაქტორს წარმოადგენს დარღვევების ეფექტიან დოკუმენტირებისთვის.

საარჩევნო კომისიის საქმიანობაში ჩარევისთვის დაწესებული ფინანსური სანქციის ზრდა

მორიგი ცვლილებით, საარჩევნო კომისიის საქმიანობაში ჩარევისთვის სანქციის ოდენობა გაიზარდა და, 500 ლარის ნაცვლად, 2000 ლარი შეადგინა.[114] განმარტებითი ბარათი არ იძლევა ინფორმაციას იმის თაობაზე, რა გახდა სანქციის გაზრდის მიზეზი, რადგან, საიას ინფორმაციით, როგორც წესი, ეს სანქცია საარჩევნო პრაქტიკაში ხშირად არ გამოიყენებოდა. კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში ჩარევა ზოგადი ცნებაა და თავად კომისიას ანიჭებს შეფასების ფართო დისკრეციას. იმ ფონზე, როდესაც საარჩევნო ადმინისტრაციის ზოგიერთი, მათ შორის, სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და ოპოზიციური პარტიების საჩივრების განხილვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები კითხვებს ბადებს ადმინისტრაციის მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის თაობაზე,[115] ხოლო დამკვირვებელთათვის საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტები კვლავაც პრობლემად რჩება,[116] არსებობს რისკი, რომ ეს მექანიზმი დამკვირვებლების წინააღმდეგ არამართლზომიერად იქნება გამოყენებული. მოცემულ რეალობაში, ამ ქმედებისთვის სანქციის არაპროპორციულად, 2000 ლარამდე გაზრდა კიდევ უფრო შეზღუდავს დამკვირვებელს, ვინაიდან მისი უმთავრესი მოვალეობა და მიზანი საარჩევნო პროცესში გამოვლენილ დარღვევებზე ეფექტიანი რეაგირებაა. ამისთვის კი მას ხელს არ უნდა

[114] საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 22 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://www.parliament.ge/legislation/30012, განახლებულია: 12.08.2025.

[115] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2024 საქართველოს პარლამენტის არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღის და არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგის ანგარიში (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2025), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/2024%20წლის%20საპარლამენტო%20არჩევნების%20სადამკვირვებლო%20მისია_2024.pdf.

[116] იქვე.

უშლიდეს ისეთი რეპრესიული საკანონმდებლო რეგულაცია, რომელიც გამოიწვევს მის დასჯას, დაშინებას და ვერ უზრუნველყოფს ამ მიზნის მიღწევას.

საიას აზრით, კომისიის საქმიანობაში ჩარევისთვის ჯარიმის ოთხჯერ გაზრდა, პირველ ყოვლისა, არ ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს და არის არაპროპორციული. მისი მიზანია დამკვირვებლების დაშინება და, იმავდროულად, სადამკვირვებლო ორგანიზაციების მუშაობაში ხელშეშლა.

დამკვირვებლებისთვის აგიტაციაში მონაწილეობის აკრძალვა

შეცვლილი რეგულაციით, აგიტაციის გაწევა ან მასში მონაწილეობა ეკრძალება ასევე დამკვირვებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელ პირს ან დამკვირვებელს.[117]

აღსანიშნავია, რომ „ვენეციის კომისიის“ დასკვნის მიხედვით, დამკვირვებელი უნდა იყოს პოლიტიკურად ნეიტრალური.[118] ამასთანავე, ვენეციის კომისიის სტანდარტის თანახმად, დამკვირვებელი სარგებლობს ადამიანის ყველა ფუნდამენტური უფლებითა და თავისუფლებით არჩევნების სპეციფიკის გათვალისწინებით,[119] მათ შორის, გამოხატვის თავისუფლებით. გარდა ამისა, ვენეციის კომისია არჩევნების დამკვირვებლებს განიხილავს, როგორც ადამიანის უფლებათა დამცველებს და მიიჩნევს, რომ ისინი უნდა სარგებლობდნენ ყველა იმ უფლებით, რომლებიც, ზოგადად, უფლებადამცველებისთვის მოქმედებს.[120] მათ შორის, არჩევნებზე დამკვირვებელს არ უნდა შეეზღუდოს გამოხატვის თავისუფლება.[121] მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ საარჩევნო კოდექსის თანახმად, აგიტაციის გაწევა არჩევნების დღეს, საარჩევნო უბანზე, ისედაც აკრძალული იყო ყველა პირისთვის, მათ შორის, დამკვირვებლებისთვისაც. ახალი რეგულაცია კი ამ შეზღუდვას არჩევნებამდე პერიოდზეც აფართოებს. ამგვარი კონტროლი არალეგიტიმურად შეიძლება შეფასდეს, რადგან ის დამკვირვებლის

[117] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ლ” ქვეპუნქტი.
[118] Guidelines on an internationally recognized Status of Election Observers, No. CDL-AD(2009)059, European Commission for Democracy through Law (Venice Commission), 14 December, 2009, § 2.3.
[119] იქვე, § 1.1.
[120] Report on Election Observers as Human Rights Defenders, No. CDL-AD(2024)039, European Commission for Democracy through Law (Venice Commission), 11 December, 2024, § 82.
[121] იქვე, § 97.

გამოხატვის თავისუფლების ფუნდამენტურ უფლებას არაპროპორციულად ზღუდავს.

გარდა ამისა, საკმაოდ ფართოა ინტერპრეტაციის შესაძლებლობა, თუ რა იგულისხმება აგიტაციის გაწევაში და რა ფარგლებში ეზღუდება პირს წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური აზრის გამოხატვა. მაგალითად, კონკრეტულ საკითხზე სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული კომენტარი, ე.წ. „მოწონება“ თუ „გაზიარება“, შესაძლოა, უკავშირდებოდეს დამკვირვებლის პოლიტიკურ შეხედულებას, ფართო გაგებით, და ჩაითვალოს აგიტაციად. ინიციატორების მხრიდან გამოხატვის თავისუფლებაში ამ ინტენსივობით ჩარევის აუცილებლობა არ არის დასაბუთებული. ამიტომ, უფლებაში ამგვარი ინტენსივობით ჩარევა გამოიწვევს მის გაუმართლებელ შეზღუდვას. ამის საპირწონედ, ეს ცვლილება შეიძლება იქცეს „ქართული ოცნების“ კიდევ ერთ რეპრესიულ მექანიზმად, რომლის გამოყენებითაც შეიზღუდება არჩევნებზე დამოუკიდებელი, თავისუფალი დაკვირვება და საფრთხე შეექმნება განსხვავებული აზრის არსებობას.

ზემოხსენებული შეზღუდვა ადამიანებს დაკვირვების პროცესში მონაწილეობის მოტივაციას დაუკარგავს, რადგან ისინი იძულებულნი გახდებიან, არჩევანი გააკეთონ საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების თავისუფლად გამოხატვასა და სადამკვირვებლო საქმიანობას შორის. ეს რეგულაცია ასევე ხელს შეუწყობს საზოგადოებაში პოლიტიკური რეპრესიებისა და დევნის შიშის გაღვივებას, რაც განსხვავებული შეხედულებების მქონე ადამიანებს აიძულებს, თავი შეიკავონ საკუთარი პოლიტიკური პოზიციის ღიად გამოხატვისგან.

გარდა ამისა, ეს შეზღუდვა მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა სადამკვირვებლო ორგანიზაციებისთვის, რომლებიც თავიანთი სადამკვირვებლო მისიის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი დამკვირვებლებით რეკრუტირებას ახორციელებენ.

ჭრილის საფარის დამატება ხმის მთვლელ ელექტრონულ აპარატებზე

ცესკომ 2025 წლის 29 აპრილის სხდომაზე მიიღო განკარგულება კენჭისყრის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით საარჩევნო ბიულეტენების ფორმებისა და სპეციალური ჩარჩო-კონვერტების, ძირითადი საარჩევნო ყუთისა და მასზე დამონტაჟებული ხმის დათვლის სპეციალური ელექტრო-

ნული აპარატის სახის დადგენის შესახებ.[122] სიახლის მიხედვით, ხმის მთვლელ ელექტრონულ აპარატზე დამატებით ჭრილის საფარი დამაგრდება.

ადმინისტრაციამ განმარტა, რომ „ეს გადაწყვეტილება არ ნიშნავს ფარულობის დარღვევებზე უსაფუძვლო ბრალდებების აღიარებას. განკარგულებით, საარჩევნო ადმინისტრაციამ პრევენციული გადაწყვეტილება მიიღო პოლიტიკური დღის წესრიგით ნაკარნახევი სპეკულაციების თავიდან ასაცილებლად“.[123]

აღსანიშნავია, რომ ხმის ფარულობის პრობლემა 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე ყველა ელექტრონული ტექნოლოგიებით აღჭურვილ უბანზე გამოვლინდა (ჯამში, 2263 უბანი). ხმის მთვლელ აპარატში ბიულეტენების ამობრუნებულ მდგომარეობაში შეცურების დროს ცხადად ჩანდა ამომრჩევლის მიერ გამოვლენილი ნება, ვინაიდან მარკერი ბიულეტენის მეორე მხარეს კვალს ტოვებდა. არჩევნების შემდეგ, ხმის ფარულობის პრინციპის დარღვევის საფუძველზე, საიამ საარჩევნო ადმინისტრაციასა და სასამართლოებში 73 ოლქის 2263 უბნის შედეგები გაასაჩივრა და მათი ბათილად ცნობა მოითხოვა, თუმცა საარჩევნო ადმინისტრაციამ და სასამართლოებმა ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს.[124]

ფარულობის პრინციპის დარღვევაზე ყურადღება გამახვილებულია ეუთო/ოდირის ანგარიშშიც, რომლის მიხედვითაც, ელექტრონული

---

[122] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2025 წლის 19 აპრილის №68/2025 განკარგულება „მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისთვის კენჭისყრის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით საარჩევნო ბიულეტენის ფორმისა და სპეციალური ჩარჩოკონვერტების, ძირითადი საარჩევნო ყუთისა და მასზე დამონტაჟებული ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის სახის დადგენის შესახებ“, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/archevnebi/2025/munitsipalitetis-organota-2025-tslis-archevnebi/-samartlebrivi-aqtebi-2025-municipalitetis-archevnebi-/ceskos-gankargulebebi-municipalitetis-archevnebi/singleview/11035927-gankarguleba-682025-29042025.

[123] იხილეთ ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული განცხადება, 2025 წლის 1-ლი მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/CentralElectionCommissionOfGeorgia/posts/pfbid02gN6kbwAmaAKuuckrTGZKWY2qMT74LYoavjnz7Akv1irZhyjuknUJZ2LbHxfmbAXnl, განახლებულია: 11.08.2025.

[124] გამონაკლისი იყო თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო, რომელმაც დააკმაყოფილა საიას სარჩელი, თუმცა მისი გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლომ შეცვალა. დეტალურად იხ. საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნების სადამკვირვებლო მისია, წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგის ანგარიში, 1-ლი აპრილი - 16 ნოემბერი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2025.

მოწყობილობების არაეფექტიანმა გამოყენებამ, რაც საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან არასათანადო ინსტრუქტაჟით იყო გამოწვეული, უბნების არაჯეროვანმა მოწყობამ და გადატვირთულობამ, მმართველი პარტიის მიერ დამონტაჟებულმა კამერებმა და ბიულეტენების გაჟონვამ ხმის ფარულობა პოტენციურად დაარღვია მისიის მიერ დაფარული უბნების 24%-ში.[125] ანგარიშში აღინიშნა, რომ ელექტრონული ტექნოლოგიების წინასაარჩევნო ტესტირებებმა და ჩვენებებმა გამოავლინა დარღვევები ხმის მიცემის კონფიდენციალურობის კუთხით, თუმცა ეს პრობლემები არ აღმოფხვრილა.[126]

[125] Georgia, Parliamentary elections 26 October 2024, ODIHR Election Observation Mission Final Report, (Warsaw: OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR), 2024) page 4, ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/odihr/elections/georgia/584029, განახლებულია: 11.08.2025.
[126] იქვე, page 12.

ცენტრალური საარჩევნო კომისია

საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო) შედგება არაუმეტეს 17 წევრისგან.[127] მათგან რვა – არაპარტიული და ცხრამდე – საპარლამენტო მანდატების მფლობელი პარტიების მიერ დანიშნული წევრია. დღეს ცესკო 10 წევრისგან შედგება. 2025 წლის თებერვლის შემდეგ, როდესაც „ქართული ოცნების" პარლამენტმა ცესკოს ოთხი პროფესიული ნიშნით შესარჩევი წევრი – გიორგი ძაგანია, დიმიტრი ჯავახაძე, გიორგი ჭიქაბერიძე და გიორგი ჯავახიშვილი – ხელახლა აირჩია,[128] საარჩევნო ადმინისტრაციის პროფესიული ბლოკი სრულად დაკომპლექტდა. რაც შეეხება პოლიტიკური პარტიების მიერ შესარჩევ წევრებს, ოფიციალური მონაცემებით, წინასაარჩევნო პერიოდის დაწყებამდე ცესკოში წარმომადგენელი მხოლოდ ორ პოლიტიკურ პარტიას ჰყავდა დანიშნული: „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო" და „ძლიერი საქართველო – ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის".[129] აღსანიშნავია, რომ „ლელოს" მიერ დანიშნული კომისიის წევრი ცესკოს სხდომებში არ მონაწილეობდა და ამ პოზიციას მხოლოდ ფორმალურად იკავებდა. წინასაარჩევნო პერიოდში პარტიამ „გახარია საქართველოსთვის" ცესკოში აითვისა პარტიისთვის განკუთვნილი კვოტა და კომისიის წევრი დანიშნა,[130] ხოლო პარტია „ლელომ", გიორგი სიორიძის ნაცვლად, კომისიის წევრად მალხაზ ჩხიკვაძე წარადგინა.[131]

საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ საზოგადოების ნდობა ჯანსაღი დემოკრატიული პროცესების ძირითადი საფუძველია. საქართვე-

---

[127] საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-10 მუხლი.

[128] „პარლამენტმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები აირჩია", საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2025 წლის 18 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://www.parliament.ge/media/news/parlamentma-tsentraluri-saarchevno-komisiis-tsevrebi-airchia, განახლებულია: 11.08.2025.

[129] ცესკოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/saarchevno-administratsia/komisiis-tsevrebi, განახლებულია: 11.08.2025.

[130] გიორგი ბაშარული, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/saarchevno-administratsia/komisiis-tsevrebi/singleview/11036782-giorgi-basharuli, განახლებულია: 09.09.2025.

[131] მალხაზ ჩხიკვაძე, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/saarchevno-administratsia/komisiis-tsevrebi/singleview/5400040-giorgi_sioridze, განახლებულია: 09.09.2025.

ლოში ეს მნიშვნელოვანი გამოწვევა, წლებია, არსებობს. ბოლო საერთო არჩევნების შემდგომ პერიოდში ცესკოს საქმიანობის მიმართ უნდობლობა კიდევ უფრო გაიზარდა როგორც პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების, ისე მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილის მხრიდან. ეს არაერთმა ფაქტორმა განაპირობა, მათ შორის: კომისიის დაკომპლექტების გაუარესებულმა წესმა, ცესკოს მიერ გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკამ ჩართულ მხარეებთან კონსულტაციების გარეშე,[132] საარჩევნო დავების გადაწყვეტისას საარჩევნო ადმინისტრაციის არაკეთილსინდისიერმა მიდგომებმა, საარჩევნო უბნების ნაწილზე დამკვირვებლების მიმართ მტრული გარემოს შექმნამ და ამაზე არაჯეროვანმა რეაგირებამ.

[132] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2024 საქართველოს პარლამენტის არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღის და არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგის ანგარიში (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2025), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/2024%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%9D%20%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%99%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%9D%20%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90.pdfadmin.gyla.ge, განახლებულია: 11.08.2025.

კენჭისყრის დღე

არჩევნების შედეგები

2025 წლის 4 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნებისთვის ქვეყნის მასშტაბით 64 ოლქში, ჯამში, 3,061 საარჩევნო უბანი გაიხსნა.[133] აქედან 2,284 უბანზე კენჭისყრა – ელექტრონული,[134] ხოლო 777 უბანზე ტრადიციული წესით ჩატარდა.[135] ცესკოს მონაცემების მიხედვით, არჩევნებში 1,438,116-მა საქართველოს მოქალაქემ მიიღო მონაწილეობა, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 40.93%-ს შეადგენს.[136] შედარებისთვის, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში 1 815 776 ამომრჩეველი მონაწილეობდა, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 51.92 პროცენტია.[137]

4 ოქტომბრის არჩევნების შედეგების მიხედვით, 64-ვე მუნიციპალიტეტში „ქართული ოცნების" მერობის კანდიდატებმა გამარჯვება პირველივე ტურში მოიპოვეს.[138] მათ 25 ოლქში ხმების 100% აიღეს,

---

[133] „ცესკო - საქართველოს მასშტაბით ყველა საარჩევნო უბანი გახსნილია, 08:00 საათიდან კენჭისყრა შეფერხებების გარეშე დაიწყო", საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი", 2025 წლის 4 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/850740-cesko-sakartvelos-masshtabit-qvela-saarchevno-ubani-gaxsnilia-0800-saatidan-kenchisqra-sheperxebebis-gareshe-daicqo/, განახლებულია: 09.10.2025.

[134] გამოიყენება ამომრჩეველთა ვერიფიკაციის და ხმის მთვლელი ელექტრონული აპარატები, ასევე, პლანშეტური კომპიუტერები ზოგიერთი ინფორმაციის ზემდგომ საარჩევნო კომისიებში გასაგზავნად.

[135] გამოიყენება მხოლოდ პლანშეტური კომპიუტერები.

[136] „ცესკო - 2025 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე 1 438 116 მოქალაქე მივიდა, რაც ამომრჩეველთა 40.93%-ს შეადგენს", საინფორმაციო პორტალი „interpressnews", 2024 წლის 4 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/850888-cesko-2025-clis-tvitmmartvelobis-archevnebze-1-438-116-mokalake-mividarac-amomrchevelta-4093-s-sheadgens/, განახლებულია: 20.10.2025.

[137] „2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე ხმა ამომრჩეველთა 51,92%-მა მისცა — ცესკო", საინფორმაციო პორტალი „on.ge", 2021 წლის 2 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://on.ge/story/90480-2021-%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%9B%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%96%E1%83%94%E1%83%AE%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%97%E1%83%90-51-92-%E1%83%9B%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AA%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D, განახლებულია: 11.10.2025.

[138] „ცესკომ არჩევნების შედეგები შეაჯამა", ცესკოს ოფიციალური ვებგვერდი, 2025 წლის 15 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/siakhleebi/pres-relizebi/singleview/11037667-tseskom-archevnebis-shedegebi-sheajama, განახლებულია: 20.10.2025.

რადგან ამ ოლქებში კენჭს მხოლოდ მმართველი პარტიის წარმომადგენლები იყრიდნენ.[139]

თბილისში, სადაც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 1,043,482-ს შეადგენს, არჩევნებში მონაწილეობა 324,281-მა (31.08%) ამომრჩეველმა მიიღო.[140] ცესკოს მონაცემებით, 214,575 ხმით (20.56%), მმართველი პარტიის კანდიდატმა კახა კალაძემ გაიმარჯვა.[141] მეორე ადგილზე გავიდა ირაკლი კუპრაძე ხმათა 12.45%-ით, მესამე ადგილზე კი იაგო ხვიჩია – 7.52%-ით.[142] თბილისის საკრებულოში „ქართულმა ოცნებამ“ 25-ვე მაჟორიტარი გაიყვანა, ხოლო პროპორციულ ნაწილში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: „ქართული ოცნება“ – 207 985 ხმა (70.15%) – 20 მანდატი; „ლელო - ძლიერი საქართველო“ – 29 807 ხმა (10.54%) – 2 მანდატი; „გირჩი“ – 22 230 ხმა (7.49%) – 2 მანდატი; „კონსერვატორები საქართველოსთვის“ – 12 811 ხმა (4.32%) – 1 მანდატი; „გახარია საქართველოსთვის“ – 9 483 ხმა (3.19%) – ვერ გადალახა ბარიერი. შედარებისთვის, თუ არჩევნები ცვლილებებამდე მოქმედი (2021 წლის) რედაქციით ჩატარდებოდა, „ლელო - ძლიერი საქართველო“, 2-ის ნაცვლად, 4 მანდატს მიიღებდა, „გირჩი“ – 2-ის ნაცვლად, 3-ს, „კონსერვატორები საქართველოსთვის“ – 1-ის ნაცვლად, 2 მანდატს, ხოლო „გახარია საქართველოსთვის“ გადალახავდა საარჩევნო ბარიერს და 1 მანდატს მოიპოვებდა.

ქვეყნის მასშტაბით, პროპორციულ ნაწილში, ყველაზე მეტი, 1,104,545 ხმა (81.689%), „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო, ხოლო გასანაწილებელი 1,119 მაჟორიტარული მანდატიდან ოპოზიციამ მხოლოდ 3 მოიპოვა,[143] რაც მანდატების 0.27% პროცენტია. ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში სულ 2,268 მაჟორიტარობის კანდიდატი იყო რეგისტრირებული.[144]

---

[139] საგარეჯო, გურჯაანი, დედოფლისწყარო, ყვარელი, თიანეთი, გარდაბანი, დმანისი, წალკა, თეთრიწყარო, ახალციხე, ადიგენი, ასპინძა, ახალქალაქი, ნინოწმინდა, ონი, ამბროლაური, ცაგერი, ლენტეხი, მესტია, საჩხერე, ბაღდათი, ვანი, ტყიბული, აბაშა და მარტვილი.

[140] „ცესკომ არჩევნების შედეგები შეაჯამა“, ცესკოს ოფიციალური ვებგვერდი, 2025 წლის 15 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/siakhleebi/pres-relizebi/singleview/11037667-tseskom-archevnebis-shedegebi-sheajama, განახლებულია: 20.10.2025.

[141] იქვე.

[142] იქვე.

[143] ცაგერის N3 მაჟორიტარული ოლქი - კახა ყურაშვილი (ლელო), მარტვილის N16 მაჟორიტარული ოლქი - ზაურ ჯახუა (დამოუკიდებელი), წალკის N27 მაჟორიტარული ოლქი - სარკის ოგანესიანი (დამოუკიდებელი).

[144] „ცესკოს თავმჯდომარის შემაჯამებელი ბრიფინგი 4 ოქტომბრის არჩევნებთან

არჩევნებზე დაკვირვება

4 ოქტომბრის არჩევნებს ეუთო/ოდირი და ტრადიციული ადგილობრივი მისიები არ აკვირდებოდნენ. 7 ოქტომბერს ეუთოს ადამიანის უფლებათა ოფისმა კიდევ ერთხელ გამოთქვა სინანული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე დასაკვირვებლად დაგვიანებული მიწვევის გამო.[145] განცხადებაში ხაზი გაესვა დემოკრატიისა და თანასწორი პოლიტიკური ჩართულობისთვის ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების არსებობის მნიშვნელობას.[146] ტრადიციულმა ადგილობრივმა მისიებმა, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ არჩევნებს, განაცხადეს, რომ არსებული რეპრესიული გარემო, სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ გატარებული პოლიტიკა და დამკვირვებელთა სამართლებრივი ჩარჩოს გაუარესება მათთვის, პრაქტიკულად, შეუძლებელს ხდიდა სრულფასოვანი სადამკვირვებლო მისიის განხორციელებას.[147] ამასთანავე, ქვეყანაში შექმნილი ვითარება საფრთხეს უქმნიდა როგორც ორგანიზაციების დამკვირვებლებს, ისე დამოუკიდებელი დაკვირვების სტანდარტების დაცვას.[148]

28 ორგანიზაციიდან არჩევნებზე ჯამში 81 საერთაშორისო დამკვირვე-

---

დაკავშირებით“, ცესკოს ოფიციალური ვებგვერდი, 2025 წლის 3 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/siakhleebi/pres-relizebi/singleview/11037572-tseskos-tavmjdomaris-shemajamebeli-brifingi-4-oktombris-archevnebtan-dakavshirebit?utm_source=chatgpt.com, განახლებულია: 09.10.2025.

[145] „OSCE human rights office calls on Georgian authorities to respect freedom of peaceful assembly, human rights amid increasing pressure on civil society“, ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის ოფიციალური ვებგვერდი, 2025 წლის 7 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/odihr/598675, განახლებულია: 09.10.2025.

[146] იქვე.

[147] „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 31 წლიანი არსებობის განმავლობაში პირველად, 2025 წლის 4 ოქტომბერს დანიშნულ არჩევნებს ტრადიციული სადამკვირვებლო მისიით ვერ დააკვირდება“, საიას ოფიციალური facebook-გვერდი, 2025 წლის 24 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/GYLA.ge/posts/pfbid0EA3Fd35xC6tCGsW3PzBEtwmnDNnWzGdj4AL9ErHXF4dbNGT2MAmq84NSC1FAwz6Kl, განახლებულია: 06.10.2025; „ISFED: 2025 წლის ადგილობრივ არჩევნებს სტანდარტული სადამკვირვებლო მისიით არ დავაკვირდებით“, საინფორმაციო პორტალი „ტაბულა“, 2025 წლის 21 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://tabula.ge/ge/news/739365-isfed-2025-clis-adgilobriv-archevnebs-standartuli, განახლებულია: 27.10.2025; „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო 4 ოქტომბრის არჩევნებს არ დააკვირდება“, ტელეკომპანია „ფორმულას“ ოფიციალური ვებგვერდი, 2025 წლის 2 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/129059, განახლებულია: 27.10.2025.

[148] იქვე.

ბელი დარეგისტრირდა.[149] ეს ციფრი თითქმის 13-ჯერ ნაკლებია 2021 წლის ადგილობრივ არჩევნებთან შედარებით.[150] ყველაზე მეტი – 20 დამკვირვებელი – 2025 წლის ადგილობრივ არჩევნებზე სერბულმა ასოციაცია ALTERFACT-მა დაარეგისტრირა. საქართველოში უნგრეთის საელჩო და უნგრული „ფუნდამენტური უფლებების ცენტრი" 7-7 დამკვირვებლით იყვნენ წარმოდგენილნი. სხვა ორგანიზაციების დამკვირვებელთა რაოდენობა 1-იდან 3-მდე მერყეობდა.[151]

ცესკოში 23 ადგილობრივი ორგანიზაცია დარეგისტრირდა (ჯამში 8 ათასზე მეტი დამკვირვებლით).[152] შედარებისთვის, 2021 წლის არჩევნებს 100 ადგილობრივი ორგანიზაციის 31 ათასზე მეტი წარმომადგე-

---

[149] „მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრირებული საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციები", ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/static/file/202510032740-1_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_04.10.2025.pdf.

[150] „არჩევნებს 81 საერთაშორისო დამკვირვებელი დააკვირდება – 2021 წელს მათი რიცხვი 1000-ს აჭარბებდა", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2025 წლის 3 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A1-81-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%99%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%90%E1%83%99%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%902021%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A1%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%981000%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AD%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%93%E1%83%90/33547948.html, განახლებულია: 08.10.2025.

[151] იმ ქვეყნების სია, რომელთა საელჩოები და საარჩევნო კომისიებიც არჩევნებს აკვირდებოდნენ: იორდანია; ტუნისი; მალდივები; თურქეთი; ეთიოპია; მონტენეგრო; ბოსნია და ჰერცეგოვინა; სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა; ბულგარეთი; ყირგიზეთი; აზერბაიჯანი; ფიჯი; უნგრეთი; სლოვაკეთი; სომხეთი; ფილიპინები; ალბანეთი; დიდი ბრიტანეთი; მალაიზია; მექსიკა; უზბეკეთი; ბელარუსი; შვეიცარია; მოლდოვა.

[152] „მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისათვის, ცესკოში რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციები", ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/static/file/2025100155232_%E1%83%90%E1%83%93%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_04.10.2025.pdf.

ნელი აკვირდებოდა. რეგისტრირებული ორგანიზაციებიდან ყველაზე მეტი დამკვირვებელი ჰყავდათ „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიას“ (2,973) და „პოლიტიკის და სამართლის ობსერვერს“ (2,902), რომლებიც „ქართულ ოცნებასთან“ არიან დაკავშირებულნი.[153] ასეთი ორგანიზაციების ამოცანა არ არის დარღვევების აღმოჩენა და საარჩევნო პროცესის გაჯანსაღება, არამედ მათი მიზანია საარჩევნო უბანზე კონკრეტული პოლიტიკური პარტიის მომხრეთა რაოდენობის გაზრდა, რაც ამ პარტიას, სხვებთან შედარებით, არამართლზომიერ უპირატესობას ანიჭებს.

2025 წლის 4 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით საოლქო საარჩევნო კომისიებში, ჯამში, 139 საჩივარი დაიწერა, რომელთაგან მხოლოდ 4 იყო წარდგენილი დამკვირვებელი ორგანიზაციის მიერ.[154] ამ ოთხი საჩივრიდან სამი „პოლიტიკის და სამართლის ობსერვატორიამ” შეადგინა. საჩივრები ოპოზიციური პარტიების მიერ კამერების დაყენებას და პერსონალური მონაცემების გამჟღავნების რისკს ეხება.[155] აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ორგანიზაციამ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების კენჭისყრის დღეს თავად დაამონტაჟა ვიდეოკამერები, რომლებიც უწყვეტ რეჟიმში იღებდა კადრებს საარჩევნო უბნის სხვადასხვა წერტილში, მათ შორის, ბიულეტენების მთვლელი მოწყობილობის მიმართულებით.[156]

---

[153] იხ. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2024 საქართველოს პარლამენტის არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღის და არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგის ანგარიში (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2025), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, გვ 133, ხელმისაწვდომია: https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/2024%20წლის%20საპარლამენტო%20არჩევნების%20სადამკვირვებლო%20მისია_2024.pdf.

[154] ცესკოს საჩივრების რეესტრი, ხელმისაწვდომია: https://sachivrebi.cec.gov.ge/#/.

[155] იქვე, ხელმისაწვდომია: https://sachivrebi.cec.gov.ge/#/551851; https://sachivrebi.cec.gov.ge/#/551701; https://sachivrebi.cec.gov.ge/#/551651.

[156] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2024 საქართველოს პარლამენტის არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღის და არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგის ანგარიში (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2025), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, გვ. 130, ხელმისაწვდომია: https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/2024%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%9D%20%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%99%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%9D%20%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90.pdf.

შედარებისთვის, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით საოლქო საარჩევნო კომისიებში, ჯამში, 1840 საჩივარი დაიწერა, რომელთაგან 599 სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა დაწერეს.[157]

ნიშანდობლივია, რომ ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი ზოგიერთი საერთაშორისო დამკვირვებელი კენჭისყრის დღეს ხმის მთვლელი ელექტრონული მოწყობილობების ეფექტიან მუშაობას – „ხმების ზუსტ დათვლას“ – კენჭისყრის პროცესის დასრულებამდე და მთვლელი აპარატებიდან შედეგების ამსახველი ქვითრების ამობეჭდვამდე რამდენიმე საათით ადრე აფასებდა.[158] ეს შემთხვევა კარგად აჩვენებს, რომ ამ ტიპის „გონგო“[159] ორგანიზაციებისა თუ ინდივიდების მიერ განხორციელებული დაკვირვების პროცესი იმიტაციურია. საინტერესო მაგალითია პროსახელისუფლებო მედიების მიერ „ფრანგ დამკვირვებლად“ წარმოდგენილი ფრანკ ივონ პენგამი.[160] მედიით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ეს პიროვნება დამკვირვებლის სტატუსით აკვირდებოდა რუსეთის 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს და საარჩევნო პროცესზე კომენტარის გაკეთებისას ირწმუნებოდა, რომ რუსეთში არჩევნები „უმაღლეს დონეზე“ ჩატარდა.[161]

---

[157] „საოლქო საარჩევნო კომისიებში წარდგენილი საჩივრების სტატისტიკა“, ცესკოს ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 31 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/siakhleebi/pres-relizebi/singleview/11035078-saolko-saarchevno-komisiebshi-tsardgenili-sachivrebis-statistika, განახლებულია: 20.10.2025.

[158] უბნებზე ყველაფერი კარგად არის ორგანიზებული, ამომრჩეველს შეუძლია, მშვიდ გარემოში დააფიქსიროს არჩევანი. საკმაოდ პროფესიონალურად მუშაობენ კომისიის წევრები, **ელექტრონული სისტემა ხმების ზუსტ დათვლას უზრუნველყოფს**“, ტელეკომპანია „POSTV-ის“ ოფიციალური ვებგვერდი, 2025 წლის 4 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/photo/?fbid=1221498026907072 95&set=a.122107611344707295, განახლებულია: 07.10.2025.

[159] ე.წ. ზომბი დამკვირვებლები (government-friendly or „zombie“ observers) — ორგანიზაციები, რომლებიც მხოლოდ ფორმალურად ასრულებენ სადამკვირვებლო ფუნქციას, მაგრამ, რეალურად, მმართველი პარტიის ინტერესებს ემსახურებიან.

[160] „ფრანგი დამკვირვებელი ფრანკ ივონ პერგამი გუშინდელ არჩევნებზე: **თქვენ უფრო კარგად ატარებთ არჩევნებს, ვიდრე ეს საფრანგეთშია**“, ტელეკომპანია „იმედის“ ოფიციალური facebook-გვერდი, 2025 წლის 5 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/photo/?fbid=1248840427270922&set=a.576395271182111, განახლებულია: 07.10.2025.

[161] „ვინ არის რეჟიმის პროპაგანდის მიერ „ფრანგ დამკვირვებლად“ გამოცხადებული ფრანკ პენგამი“, საინფორმაციო პორტალი „ტაბულა“, 2025 წლის 7 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://tabula.ge/ge/news/741155-vin-aris-rezhimis-propagandis-mier-prang, განახლებულია: 07.10.2025.

საერთაშორისო გამოხმაურება

ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის / ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტის კაია კალასის და გაფართოების საკითხებში ევროკავშირის კომისრის მარტა კოსის ერთობლივი განცხადების მიხედვით, საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები განსხვავებული აზრის ფართომასშტაბიანი ჩახშობის გარემოში ჩატარდა.[162] განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ დამოუკიდებელ მედიაზე მრავალთვიანმა თავდასხმებმა, სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული კანონების მიღებამ, ოპონენტებისა და აქტივისტების დაპატიმრებამ, ასევე, საარჩევნო კოდექსში მმართველი პარტიის სასარგებლოდ შეტანილმა ცვლილებებმა კონკურენტული არჩევნების ჩატარების შესაძლებლობა მკვეთრად შეამცირა.[163]

ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ პლატფორმა X-ზე 2025 წლის 4 ოქტომბერი საქართველოს დემოკრატიისთვის სამწუხარო დღედ შეაფასა. სამინისტროს თქმით, ეუთო/ოდირს არ ჰქონდა საშუალება, ადგილობრივ არჩევნებს დაჰკვირვებოდა, არ იყო გათვალისწინებული რეკომენდაციები, ხოლო ძალადობრივი მეთოდების გამოყენება, რეპრესიული კანონები და ოპოზიციის ლიდერების დაპატიმრება კიდევ უფრო მეტ უნდობლობას იწვევდა საქართველოში ჩატარებული არჩევნების მიმართ.[164]

---

[162] „ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის / ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტის კაია კალასის და გაფართოების საკითხებში ევროკავშირის კომისრის მარტა კოსის ერთობლივი განცხადება საქართველოში გამართულ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით“, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ოფიციალური ვებგვერდი, 2025 წლის 5 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.eeas.europa.eu/eeas/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%93%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%95%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%96%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%90%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-2_ka?s=221, განახლებულია: 07.10.2025.

[163] იქვე.

[164] „A sad day for democracy in Georgia“, ინტერნეტ პლატფორმა „X“ - Norway MFA, 2025 წლის 5 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://x.com/NorwayMFA/status/1974901962727641493/photo/1, განახლებულია: 09.10.2025.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერმა მარია ზახაროვამ 8 ოქტომბრის ბრიფინგზე საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ისაუბრა.[165] მისი განცხადებით, უცხოელმა დამკვირვებლებმა, რომლებიც წარმოდგენილნი იყვნენ როგორც „გლობალური სამხრეთიდან“, ისე „დასავლური სახელმწიფოებიდან“, დაადასტურეს ხმის მიცემის სისტემის გამართულობა. სპიკერმა მოიხმო დამკვირვებლების შეფასებები საარჩევნო პროცესის გამჭვირვალედ და კონკურენტულად წარმართვის თაობაზე.[166]

შეჯამება

ადგილობრივი თვითმმართველობა დემოკრატიული მმართველობის საფუძველია, რადგან სწორედ ადგილობრივი წარმომადგენლობები უზრუნველყოფენ მოსახლეობის საჭიროებების, ინტერესებისა და პრიორიტეტების ასახვას პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში. ამგვარი წარმომადგენლობა ქმნის პოლიტიკური ჩართულობის, ანგარიშვალდებულებისა და დემოკრატიული ლეგიტიმაციის საფუძველს. 2025 წლის 4 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემთხვევაში კი, ამ დემოკრატიული ფუნქციის სრულყოფილი რეალიზება შეზღუდული აღმოჩნდა.

არჩევნები ჩატარდა ღრმა პოლიტიკური კრიზისისა და არასაკმარისი დებატების პირობებში, რასაც თან ახლდა ოპოზიციური პარტიების ნაწილის ბოიკოტი და მოსახლეობისადმი მოწოდება, არ მიეღოთ მონაწილეობა არჩევნებში. წინასაარჩევნო პერიოდი ხასიათდებოდა რეპრესიულობით და გაუარესებული საარჩევნო კანონმდებლობით, რაც არსებითად ზღუდავდა კონკურენტულობას და პოლიტიკური/საარჩევნო გარემოს სამართლიანობას.

[165] „Захарова: недавние беспорядки в Грузии были спровоцированы извне по воле Запада“, საინფორმაციო პორტალი „tass.ru“, 2025 წლის 8 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://tass.ru/politika/25287263, განახლებულია: 09.10.2025.
[166] იქვე.